პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 23 (9798) | ხუთშაბათი, 28 იანვარი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. — სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით (1-ლი გვერდი).

მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის (1-ლი გვერდი).

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა საკავშირო თათბირი, მოწვეული საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია (მე-2 გვერდი).

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირი. ვ. მ. მოლოტოვის სტატია (მე-3 გვერდი).

გერმანიის კომპარტიის გამგებლობის [illegible] ხალხისადმი (მე-3 გვერდი).

აღმავლობის გზით (მე-3 გვერდი).

ქ. თბილისის მოლოტოვის რაიონის საარჩევნო უბნები (მე-4 გვერდი).

ხელმძღვანელი კადრების თეორიული სწავლება

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდი ღონისძიებანი დასახეს იმისათვის, რომ შემდგომ განვავითაროთ სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, უკეთ გამოვიყენოთ სოციალისტური ეკონომიკის ყველა შესაძლებლობა და გავაუმჯობესოთ ხალხის კეთილდღეობა. ამ საყოველთაო-სახალხო ამოცანის წარმატებით განხორციელება მოითხოვს კიდევ უფრო ავამაღლოთ პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის დონე, დავეხმაროთ მუშაობის ყველა დარგის ჩვენს კადრებს დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ.

პარტია ყველა საჭირო პირობას ქმნის იმისათვის, რომ კომუნისტები, ხელმძღვანელი კადრები განუწყვეტლივ იმაღლებდნენ თავიანთ შეგნებულობას, დაუცხრომლად ეუფლებოდნენ რევოლუციურ თეორიას. პარტიული პროპაგანდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ხელმძღვანელი კადრების შეიარაღება მარქსიზმ-ლენინიზმის ცოდნით. პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პარტიული და საბჭოთა აქტივის თეორიულ მომზადებას. ამ მიზნით ჩვენს რესპუბლიკაში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკებისათვის შექმნილია საღამოს უნივერსიტეტები და პარტიული სკოლები, თეორიული სემინარები და წრეები. ამას გარდა ჩვენი კადრების მნიშვნელოვანი ნაწილი ბეჯითად ეუფლება რევოლუციურ თეორიას წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდით.

უკანასკნელ ხანებში პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ყურადღება და ხელმძღვანელობა აქტივის თეორიული სწავლებისადმი. ახლა კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლების საკითხებს უფრო ხშირად და მომზადებულად განიხილავენ პარტიულ კრებებზე, ბიუროს სხდომებზე, რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების პლენუმებზე. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია ჯეროვან მუშაობას ეწეოდეს კადრების პოლიტიკური განათლებისათვის, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის იდეური შინაარსის გაუმჯობესებისათვის. შემოწმებამ გამოარკვია, რომ პარტიის ზოგიერთი საქალაქო და რაიონული კომიტეტი ზერელედ, ეპიზოდურად ხელმძღვანელობს პარტიული პროპაგანდის საქმეს, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს აქტივის სწავლებას, თეორიული სემინარების, საღამოს პარტიული სკოლებისა და მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების მუშაობას, სუსტ კონტროლს უწევს რევოლუციური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ ამხანაგებს.

პარტიული ორგანიზაციების მხრივ საჭირო კონტროლის უქონლობის გამო ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთა საში ირიცხება, ფაქტიურად არ მუშაობს თავისი იდეური დონის ასამაღლებლად. სწორედ ასეთი მდგომარეობაა ტყვარჩელსშახტმშენის ტრესტის პარტიულ ორგანიზაციაში. აქ კომუნისტების პოლიტიკური თვითგანათლების საქმე თვითდინებაზეა მიშვებული. ინდივიდუალური სამუშაო გეგმები შედგენილია შაბლონის მიხედვით. ცუდად მუშაობს თავისი შეგნებულობის ამაღლებისათვის ტრესტის მთავარი ინჟინერი ა. მურმანიშვილი. პოლიტიკური განათლებისადმი ასეთ დაუდევრობას იგი იმით „ამართლებს“, რომ სამეურნეო საქმეებით არის გადატვირთული და თავის თავზე მუშაობისათვის დრო არ რჩება. აქტივის სწავლება არც ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის პარტიულ ორგანიზაციაშია კარგად დაყენებული. პარტორგანიზაციასთან შექმნილია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი წრე. მაგრამ მიმდინარე სასწავლო წელს ამ წრეში 20 დეკემბრამდე ერთხელაც არ გამართულა მეცადინეობა. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტი ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევს აქტივის თეორიულ სწავლებას, სისტემატურ კონტროლს არ უწევს პარტიული პროპაგანდის ამ უმნიშვნელოვანეს უბანს.

მიმდინარე სასწავლო წლის თავისებურება ის არის, რომ თეორიული სწავლება უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, პრაქტიკულ ამოცანებთან, რომლებიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარეობენ. მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. მაგალითად, პარტიის მარნეულის რაიონულ კომიტეტთან არსებული პარტიული და საბჭოთა აქტივის სემინარის მსმენელები საყვედურს გამოთქვამენ, რომ მათ არ უკითხავენ ლექციებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების მშრომელთა ფართო მასების, პირველ რიგში კი ხელმძღვანელი კადრების შეგნებამდე დაყვანა პარტიული პროპაგანდის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მაგრამ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ცუდად ასრულებს ამ ამოცანას. ზოგან პლენუმის დადგენილების პროპაგანდა ერთდროულ კამპანიად მიიჩნიეს და პარტიული განათლების ქსელში ამ საკითხზე რამდენიმე მეცადინეობის მოწყობის შემდეგ ეს საქმე დამთავრებულად ჩათვალეს, რაც დიდი შეცდომაა. მთელ რიგ რაიონებში ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და პროპაგანდისტებმა ვერ უზრუნველყვეს პლენუმის მასალების ღრმად შესწავლა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ გუდაუთის რაიონის ახალი ათონის კურორტსამმართველოს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი ამხ. ჩარგეიშვილი. მან რამდენიმე მეცადინეობა მოანდომა გაზეთის წაკითხვას, რომელშიც სექტემბრის პლენუმის მასალებია გამოქვეყნებული. გასაგებია, რომ ასეთ მეცადინეობას არავითარი სარგებლობა არ მოუტანია მსმენელებისათვის. საჭიროა პარტიის გუდაუთის რაიკომმა სასტიკი ბრძოლა აწარმოოს ფორმალიზმისა და მედავითნეობის ელემენტების წინააღმდეგ პარტიულ პროპაგანდაში.

მიმდინარე სასწავლო წლიდან მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტები და საღამოს პარტიული სკოლები სწავლების სამწლიან კურსზე არიან გადასული. ეს გარემოება დიდად შეუწყობს ხელს აქტივის სწავლების გაუმჯობესებას. პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ საღამოს უნივერსიტეტებსა და პარტიულ სკოლებში თვითეული ლექცია და სემინარული მეცადინეობა მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე იმართებოდეს, რომ გადაჭრით განმტკიცდეს დისციპლინა მსმენელთა შორის.

ხელმძღვანელი კადრების თეორიული სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა პარტიული და საბჭოთა აქტივის სემინარი. მასში მოხერხებულად არის შეჯამებული მსმენელთა ინდივიდუალური მეცადინეობა შესასწავლი საკითხის კოლექტიურ განხილვასთან. მაგრამ პარტიის ახმეტის, ცხაკაიას და სხვა რაიონული კომიტეტები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ პარტიული და საბჭოთა აქტივის სემინარები ნორმალურად მუშაობდნენ.

ხელმძღვანელი კადრების თეორიული სწავლების გაუმჯობესებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ პარტიული კომიტეტების ბიბლიოთეკებმა. აუცილებელია აქტივისათვის სისტემატურად ეწყობოდეს მაღალკვალიფიციური ლექციები პარტიის ისტორიისა და თეორიის საკითხებზე, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე.

პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა გადაჭრით გაუმჯობესონ აქტივის თეორიული სწავლება, განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი პროპაგანდისტული მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. კომუნისტების, ხელმძღვანელი კადრების მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიადი მოძღვრებით შეიარაღების გზით ისინი უზრუნველყოფენ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

თბილისის საოლქო საარჩევნო კომისიათა სხდომები

26 იანვარს გაიმართა კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის — კალინინის № 625 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა. კომისიამ დააწესა ყველა საარჩევნო უბნის საზღვრები და მიაკუთვნა მათ ნომრები. კომისიის წევრებმა გაინაწილეს მოვალეობანი, დასახეს მუშაობის გეგმა, დააწესეს მუდმივი მორიგეობა.

გაიმართა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის — ლენინის № 147 საარჩევნო ოლქის, თბილისის საქალაქო № 144 საარჩევნო ოლქის, თბილისის 26 კომისრის სახელობის № 146 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიათა სხდომები. აქაც ავრეთვე დააწესეს საარჩევნო უბნების საზღვრები, მიაკუთვნეს მათ ნომრები და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის გაანაწილეს მოვალეობანი. (საქდესი)

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა საქართველოს კომუნისტური პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს ფართოდ გააჩაღონ მუშაობა იმისათვის, რომ მშრომელებს განუმარტონ ისტორიული ამოცანები, რომლებიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ. არჩევნების დებულების გაცნობა ამომრჩეველთათვის მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს სსრ კავშირის კონსტიტუციის დიადი პრინციპების, სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობის ახსნა-განმარტებას, კაპიტალისტური წყობილების წინაშე საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობის ახსნა-განმარტებას, საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის დიადი ძალის ჩვენებას.

სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებისა და განხორციელების მსვლელობაში უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ ფართოდ განემარტოს მშრომელებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი კომუნიზმის მშენებლობისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლაში, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიის მასალები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებანი და პარტიისა და მთავრობის შემდგომი გადაწყვეტილებანი საბჭოთა ვაჭრობის განვითარების, სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში გამოყენებულ უნდა იქნას სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გამოცდილება, ყველა მისი ფორმა, რომლებმაც გაამართლეს თავისი დანიშნულება წარსული საარჩევნო კამპანიების დროს (მიტინგები, მშრომელთა კრებები, ლექციები, მოხსენებები, საუბრები, გაზეთების კითხვა, თვალსაჩინო აგიტაცია და სხვ.). უნდა გაიმართოს აგიტატორთა რაიონული და საქალაქო თათბირები, მიძღვნილი სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანებისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით.

საარჩევნო უბნებთან შექმნილი აგიტპუნქტები კარგად უნდა მოეწყოს და უზრუნველყოფილ იქნას მთელი საჭირო ლიტერატურით. აგიტპუნქტებში სისტემატურად უნდა ეწყობოდეს მოხსენებები, კონსულტაციები, საუბრები და გაზეთების კითხვა. იქვე უნდა გაიცეს ცნობები მოსახლეობისათვის საინტერესო ყველა საკითხზე. პარტიული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან სისტემატურად შეკრიბონ და ინსტრუქტაჟი გაუწიონ საარჩევნო უბნებში მომუშავე აგიტატორებს.

პოლიტიკური მუშაობა ამომრჩეველთა შორის უნდა გაჩაღდეს უშუალოდ მათ საცხოვრებელ ადგილზე ისე, რომ პოლიტიკურმა აგიტაციამ მოიცვას ყველა ამომრჩეველი. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ახალგაზრდობასა და ქალებს შორის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება საწარმოებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში. პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა წარმართონ მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი მძლავრი აღმავლობა საწარმოო გეგმების წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაკენ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებს, უზრუნველყონ საარჩევნო კამპანიის მსვლელობის ფართოდ გაშუქება თავიანთ ფურცლებზე.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წინადადება მიეცა აამაღლოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის დონე, განსაკუთრებით სოფლად, სისტემატურად გამართოს ამომრჩეველთათვის ლექციები, მოხსენებები, საუბრები, კინოფილმების ჩვენება და მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლები.

საქართველოს აღკკ ცენტრალურ კომიტეტს დაევალა უზრუნველყოს კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქართველოს კომუნისტური პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გასაჩაღებლად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკურ საარჩევნო კომისიაში

ამა წლის 27 იანვარს გაიმართა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა.

რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. მ. ი. კუჭავა შეეხო „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ მოთხოვნათა შესაბამისად რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წინაშე დასახულ ამოცანებს.

კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხები. განხილულ იქნა საკითხი მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საარჩევნო დოკუმენტების ბლანკებით, ხოლო საარჩევნო ოლქების და საარჩევნო უბნების — საარჩევნო ბიულეტენების დასაბეჭდი ქაღალდით, ბეჭდებით, საარჩევნო ყუთებითა და საჭირო საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფის შესახებ.

განხილულ იქნა აგრეთვე ის საკითხი, რომ რესპუბლიკურმა საარჩევნო კომისიამ კავშირი დაამყაროს საოლქო საარჩევნო კომისიებთან და საოლქო საარჩევნო კომისიებმა — საუბნო საარჩევნო კომისიებთან. განხილულ იქნა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია რესპუბლიკის შორეულ რაიონებთან მტკიცე კავშირის უზრუნველყოფა.

სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილება — დაწესდეს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წევრთა მორიგეობა და დამტკიცდეს კომისიის მორიგი სხდომის დღის წესრიგი. (საქდესი).





თბილისი. 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილ შრომით ვახტზე დადგა და იკისრა არჩევნების დღისათვის — 14 მარტისათვის უზრუნველყოს ზეგეგმითი პროდუქციის მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოშვება. ამ ვალდებულებას მანქანათმშენებლები წარმატებით ანაღდებენ. მათ უკვე დაამზადეს და დანიშნულებისამებრ გაგზავნეს ერთი ტურბინი, რომელიც უნდა დაიდგას ქვედრულის საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურზე (ონის რაიონში). ამჟამად მიმდინარეობს მეორე ასეთივე ტურბინის აწყობა. **სურათზე:** (მარცხნივ) — ოსტატები ვ. ხეჩუაშვილი და ნ. მატიკინი მუშაობენ ქვედრულის ჰიდროელექტროსადგურზე გასაგზავნი მეორე ტურბინის ახაწყობად. მარჯვნივ — აბრეშუმსაქსოვი ახალი საფეიქრო მანქანების პარტია, რომელსაც ქარხნის კოლექტივი უგზავნის უკრაინის ფეიქრებს, ქალაქების — კალინინის, ერევნისა და ქუთაისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკებს. ამწყობი ზეინკლები ხ. კახანოვი და ა. ხაჯიევი ამოწმებენ მანქანების გამართულობას; ფოტო და ტექსტი ვლ. გინზბურგისა.

მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის

პარტიული ბიბლიოთეკა ამ დღეებში

მრავალ მკითხველს იზიდავს თბილისის 26 კომისრის რაიკომის პარტიული ბიბლიოთეკა. ლამაზად მოწყობილი სამკითხველო დარბაზსა და კაბინეტებში გამოფენილია ფოტოსურათები და დოკუმენტები, გაზეთებიდან ამოღებული მნიშვნელოვანი სტატიები, დიაგრამები. ბიბლიოთეკაში პერიოდულად ეწყობა ისტორიული თარიღებისადმი მიძღვნილი გამოფენები.

ამ დღეებში კიდევ უფრო საინტერესო გახდა ბიბლიოთეკის მუშაობა. აქ ყოველდღიურად მოდიან აგიტატორები და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, პროპაგანდისტები და ლექტორები, რათა გულდასმით გაეცნონ რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესრულების გამო მოწყობილ გამოფენას. გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა, ცნობები უკრაინის მოწინავე ადამიანების შრომითს ხაქმიანობაზე, ციფრები და ფაქტები რესპუბლიკის ხუთწლიანი გეგმის შესრულებაზე, შრომები ბოგდან ხმელნიცკის, უკრაინის ლეგენდარული გმირის ს. კოვპაკისა და სხვათა შესახებ.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად ეწყობა ლექციები, იმართება საზეიმო სხდომები, რაიონის საწარმო-დაწესებულებებში უშვებენ კედლის გაზეთების სპეციალურ ნომრებს.

აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისათვის პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ მოაწყო ინსტრუქტაჟი: „როგორ აღვნიშნოთ რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი“. ამავე თემაზე შედგა კომკავშირული აქტივის კრება, აგრეთვე ისტორიის მასწავლებელთა რაიონული თათბირი. ამ დღეებში გაიმართა „მეგობრობის საღამო“, რომელზეც პარტიის თბილისის კომიტეტის ლექტორმა ამხ. ნიკიტენკომ საინტერესო მოხსენება წაიკითხა რაიონის ახალგაზრდობისათვის.

პარტიის რაიკომის ლექტორებმა მ. ხუნდაძემ, პ. შუბითიძემ, ნ. მატაბაშვილმა დიასახლისებს წაუკითხეს ლექციები რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ. ამავე თემაზე 10 ლექცია წაიკითხა პარტიული ბიბლიოთეკის გამგემ ა. თამაზიანმა.

ბ. ხეჩუაშვილი.

მექანიზატორთა გადაწყვეტილება

სტალინირი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით საინტერესო საუბრები გამართეს სტალინირის მტს-ში მომუშავე აგიტატორებმა. ამ საუბრების შემდეგ მექანიზატორები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ აზრს. მოწინავე ტრაქტორისტმა ვლადიმერ ალეინიკოვმა თქვა: გაჩაღებულია ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის. ამ საქმეში მონაწილეობას მექანიზატორები ღირსების საქმედ ვთვლით. პირობას ვიძლევი ჩემი ტრაქტორის რემონტი, რომელზეც ახლა ვმუშაობ, ვადაზე ორი კვირით ადრე დავამთავრო.

ახალი ვალდებულებანი იკისრეს მექანიზატორებმა გ. კახაევმა, ნ. ჭოველიძემ და ყ. გულიევმა.

არჩევნებთან დაკავშირებით სტალინირელ მექანიზატორთა შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. სადგურის კოლექტივის ვალდებულებაა ვადაზე ერთი თვით ადრე დამთავროს ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების რემონტი, სანიმუშოდ მოემზადოს საგაზაფხულო სამუშაოებისათვის.

მექანიზაციორთა ვალდებულებანი

დიდი შრომითი აღმავლობაა წითელწყაროს მანქანა-ტრაქტორთა სადგურში. ტრაქტორისტები, ინჟინრები და აგრონომები ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად. სატრაქტორო პარკის სახელოსნოს გამგემ ნ. ვერბოვსკიმ ვალდებულება აიღო 25 იანვრისათვის მაღალხარისხოვნად დაამთავროს ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანების რემონტი.

გადიდებული ვალდებულება იკისრა მეცხრე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ა. ელიზბარაშვილმა. მან ტრაქტორების რემონტი მთლიანად დაამთავრა და პირობა დადო საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა 20 აპრილისათვის შეასრულოს, ამასთან დაზოგოს დიდძალი საწვავი.

ჯ. ტალიაშვილი.

მეშახტეები სტახანოვურ ვახტზე

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულის შახტებში ფართოდ გაიშალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება.

ლენინის სახელობის შახტის ორდენოსანმა მეშახტემ ლ. გოჩელაშვილმა იანვრის პირველ ორ დეკადაში გეგმის გადამეტებით 150 ტონაზე მეტი ქვანახშირი მოანგრია და თვიური დავალება გადაჭარბებით შეასრულა. წარმატებას მიაღწია მნგრეველმა ი. გოორგაძემ, იგი ცვლაში ერთნახევარ ნორმას ასრულებს. ამავე შახტში მაღალნაყოფიერად მუშაობენ ქვანახშირის ნგრევის ოსტატები ს. ლომთათაძე, ბ. საპანაძე, ს. ქათამაძე, გ. კეთილაძე და სხვები.

როგორც ყოველთვის, ამჟამადაც სტახანოვურ ვახტზე დგას სტალინის სახელობის შახტის კადრის მეშახტე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ფურცხვანიძე. სახელოვანი მეშახტე ცვლაში რამდენიმე ათეულ ტონა ქვანახშირს ანგრევს ნორმის გადამეტებით. გამომუშავების ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ სტალინის სახელობის შახტის წარჩინებული მეშახტეები ს. სოფრომაძე, უ. ჭუმბურიძე და სხვები.

— ახალი საწარმოო მიღწევებით აღნიშნონ არჩევნების დღე — ასეთია ტყიბულელ მეშახტეთა გადაწყვეტილება.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა საკავშირო თათბირი, მოწვეული საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ

26 იანვარს მოსკოვში, კრემლის სასახლის დიდ დარბაზში, მუშაობას განაგრძობდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, მოწვეული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას, აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, შეაქებთ წინადადებანი მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და მიწათმოქმედების ორგანოების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სიტყვას ამბობს უზბეკეთის სსრ შახრისიაბზის მტს-ის დირექტორის მოადგილე ამხ. **ბედროსოვი.** მას მოჰყავს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, თუ როგორ მატულობს ბამბისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდასთან ერთად კოლმეურნეობათა შემოსავალი, როგორ უმჯობესდება კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა. ამხ. ბედროსოვი აღნიშნავს, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები აიყვანოს მოწინავეთა დონემდე. მტს-მა ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში სამუშაოდ გამოჰყო საუკეთესო მექანიზატორები და აგრონომები, დაეხმარა ამ კოლმეურნეობებს შეერჩიათ ხელმძღვანელი კადრები, უკეთ გამოეყენებინათ მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

თათრეთის ერთ-ერთი უდიდესი მტს-ის — ოქტომბრის მტს-ის მთავარმა ზოოტექნიკოსმა ამხ. **იდრისოვმა** ილაპარაკა სადგურის მუშაობის შესახებ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დარგში. ყველა კოლმეურნეობამ, რომლებსაც მტს-ი ემსახურება, შეასრულა ყველა სახეობის პირუტყვის მიხედვით მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების ვალდებულებანი. საკვები ბაზის სწრაფი შექმნის მიზნით დიდდება ბალახთესვა. კოლმეურნეებმა დაიწყეს საკვები გოგრისა და საკვები კომბოსტოს თესვა.

— თათრეთის მექანიზატორები, — თქვა ამხ. იდრისოვმა, — არ დაიშურებენ ძალღონეს, რომ წარმატებით შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

— საბჭოთა ლატვიის კოლმეურნეებმა, — ამბობს კოლმეურნეობა „ცენტიბას“ თავმჯდომარე ამხ. **კაულინში,** — პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი მიიღეს, როგორც დიდი ზრუნვა სოფლის მშრომელებისა და მთელი საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ამხ. კაულინში ლაპარაკობს მოწინავე კოლმეურნეებზე, რომლებიც აღწევენ მაღალ წველადობას, აღწევენ მოზარდეულის დიდ მატებას. კოლმეურნეობა „ცენტიბას“ კოლმეურნეები წელს იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის, იმისათვის, რომ თვითეულ ძროხაზე მიიღონ 3.400 კილოგრამამდე რძე მთელ კოლმეურნეობაში, რომ თვითეულ დღეღამეზე მიიღონ 23 გოჭი.

გროდნოს მტს-ის (ბელორუსიის სსრ) მთავარმა აგრონომმა ამხ. **შვეცმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში დიდ როლს ასრულებს მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა და კოლმეურნეთა აგროტექნიკური სწავლება. ახლა სადგურის ზონის ყველა კოლმეურნეობაში მუშაობს საშუალო აგროტექნიკური კურსები, სადაც სწავლობს 699 კაცი. აგროტექნიკურ სწავლებაში მათ დიდ დახმარებას უწევენ სპეციალისტები, რომლებიც ჩამოვიდნენ კოლმეურნეობებში მუდმივ სამუშაოზე.

ამხ. შვეცი აღნიშნავს, რომ საჭიროა მოწესრიგდეს მტს-ის მომარაგება ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებითა და ინსტრუმენტებით.

ყირგიზეთის სსრ არავანის 1-ლი მტს-ის დირექტორი ამხ. **ჩერტკოვი** ამბობს, რომ წლითიწლობით იზრდება იმ კოლმეურნეობათა ეკონომიკა, რომლებსაც სადგური ემსახურება. ექვსი კოლმეურნეობის განუყოფელმა ფონდებმა რვა მილიონზე მეტი მანეთი შეადგინა. დიდდება კოლმეურნეთა შემოსავალიც. კოლმეურნეობებმა 1953 წელს აშენეს ოთხი კლუბი, სამი საბავშვო ბაღი, მეცხოველეობის 12 სადგომი, შეიძინეს ბევრი ავტომანქანა. ახლა სადგური მთლიანად დაკომპლექტებულია მექანიზატორთა კადრებით, ყველა მუდმივ მუშათა ნახევარზე მეტს ორი-სამი პროფესია აქვს.

ამხ. ჩერტკოვმა მთელი რიგი პრეტენზიები გამოთქვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების კონსტრუქტორთა მიმართ. კულტივატორები, ხუთკორპუსიანი გუთნები და თივის ასაღები ინვენტარი ვერ აკმაყოფილებენ მუშაობის პირობებს სარწყავ მიწათმოქმედებასა და მთიან რაიონებში.

ტრიბუნაზეა ალტაის მხარის ბუდიონის სახელობის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ცნობილი ბრიგადირი ამხ. **პიატნიცა.**

— მე, — ამბობს იგი, — ვთავსებ ორ პროფესიას: ტრაქტორისტისა და კომბაინერისას. მუშაობის 17 წლის განძილზე კომბაინით მოსავალი ავიღე 46 ათას ჰექტარზე და გავლეწე 1.500 ვაგონი პური.

თუ ამას გადავიყვანთ კილომეტრებზე, ჩემმა კომბაინებმა — ერთჯერ და უფრო მეტად შემოუარეს ეკვატორს. ამხ. პიატნიცა ლაპარაკობს, თუ როგორ იბრძვის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, კოლმეურნეებთან ერთად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. ნიადაგში ტენის დაგროვების მიზნით ბრიგადამ ჯერ კიდევ ზაფხულში განახორციელა კულისებად თესვა 500 ჰექტარზე, სადაც ახლა ერთი მეტრი სისქის თოვლი დევს. დაამთავრა რა ტრაქტორების შეკეთება, ბრიგადა მონაწილეობს სხვა ბრიგადების სათესი და სხვა მანქანების შეკეთებაში, ეხმარება კოლმეურნეებს, რომ საკვები მიიტანონ მეცხოველეობის ფერმებში, დადგან ძრავები, ასრულებს სხვა სამუშაოებს.

თათბირის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია მოლდავეთის სსრ რაშკოვის მტს-ის დირექტორის ამხ. **იალოვენკოს** გამოსვლამ. მან აღნიშნა, რომ კოლმეურნეობებმა, რომლებსაც სადგური ემსახურება, მარცვლეულისა და მზისუმზირას მოსავლიანობის მიხედვით უკვე 1952 წელს მიაღწიეს 1955 წლისათვის დაგეგმილ დონეს. მტს-მა განახორციელა კოლმეურნეობებში მთელი მინდვრის სამუშაოების 96 პროცენტის მექანიზაცია.

მექანიზატორთა კადრების მაღალი კვალიფიკაცია უზრუნველყოფს სადგურის სამანქანო პარკის კარგ ტექნიკურ მდგომარეობას. ტრაქტორისტთა 82 პროცენტს აქვს პირველი კატეგორია, ხოლო ყველა მიმბმელს ტრაქტორისტის კვალიფიკაცია. ყველა მექანიზატორი დაუფლებულია სამ-ოთხ სპეციალობას.

— სასოფლო-სამეურნეო წარმოების სირთულე, — განაცხადა ამხ. იალოვენკომ, — მოითხოვს ცოდნის სისტემატურ ამაღლებას. მტს-ის ზოგიერთი ხელმძღვანელი ფიქრობს, რომ თითქოს შეუძლებელია საწარმოო ფუნქციების შესრულება და ამავე დროს სწავლა. ეს არ არის სწორი. მე წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დავამთავრე ინსტიტუტი, აგრეთვე წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია.

მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **პუზანჩიკოვმა** თავისი სიტყვა მიუძღვნა კაპიტალური მშენებლობისა და მეცხოველეობის კომპლექსური მექანიზაციის საკითხებს. სამი წლის განმავლობაში მეცხოველეობის სადგომთა მშენებლობაზე კოლმეურნეობამ დახარჯა 2 მილიონ 300 ათასი მანეთი. კოლმეურნეობაში მექანიზებულია საკვების მომზადება, წყალმომარაგება, ძროხების რწყულება და წველა. აშენებულია საკვები საამქრო, სადაც საკვების გადამუშავების ყველა პროცესი მექანიზებულია. აცილებულია ხელის შრომა, მოწყობილია საწველავი დარბაზი.

— მაგრამ, — ამბობს ამხ. პუზანჩიკოვი, — მექანიზაციის ზოგიერთი საკითხი გადაუჭრელი რჩება. ჯერ კიდევ არ არის მანქანები სასილოსე კოშკის მექანიკური განტვირთვისათვის, მანქანები, რომლებიც ერთდროულად შეასრულებენ საკვების გადამუშავების, ძირხვეენების გარეცხვისა და დაჭრის, კონცენტრატების მომზადების რამდენიმე პროცესს.

დილის სხდომაზე აგრეთვე გამოვიდნენ: კრასნოდარის მხარის პლატნიროვის მტს-ის დირექტორი ამხ. **ტროშკინა,** აკადემიკოსი **სვირშჩევსკი,** ესტონეთის სსრ ლაპლასის მტს-ის დირექტორი ამხ. **პალავი,** პარტიის ომსკის ოლქის ულიანოვის რაიკომის მდივანი ამხ. **ნადეჟდინა,** თურქმენეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. **ალიევი,** ხერსონის ოლქის გრომოვის მტს-ის მთავარი ინჟინერი ამხ. **ტოლჩინი.**

* * *

26 იანვრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა ამხ. ბენედიქტოვის მოხსენების განხილვა.

ტრიბუნაზეა ჩვენი ქვეყნის წარჩინებული მექანიზატორი — სტალინოს ოლქის სტარო-ბეშევოს მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ამხ. **ანგელინა.** მან დამსწრეთ გაუზიარა გამოცდილება თავისი ბრიგადისა, რომელსაც 20 წელიწადზე მეტია ხელმძღვანელობს. ყოველი ტრაქტორისტი დაუფლებულია რამდენიმე პროფესიას — ზეინკლის, კომბაინერის, მძღოლისა და კალატოზის პროფესიებს, ხოლო ზოგიერთი დაუფლებულია ხუროს და შემლესავის სპეციალობებს. ეს შესაძლებლობას იძლევა აქტიური მონაწილეობა მიიღონ მეცხოველეობის ფერმების შრომატევადი პროცესების მექანიზაციაში.

მინდვრის ყველა სამუშაოთა მაღალხარისხოვანმა შესრულებამ, ამბობს იგი, საშუალება მისცა მემინდვრეობის ბრიგადას, რომელსაც ჩვენი მექანიზატორები ემსახურებიან, გასულ წელს, მიუხედავად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა, მიიღო ხორბლის საშუალო მოსავალი — ჰექტარზე 21 ცენტნერი.

ამხ. ანგელინა მთელ რიგ კრიტიკულ შენიშვნებს აკეთებს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნების ხელმძღვანელთა მისამართით.

აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. **აბდულაევმა** თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა სოფლის მეურნეობის ახალი ტექნიკით აღჭურვის საკითხებს. აღნიშნავს რა ბამბისა და მარცვლეული კულტურების მოყვანის სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლებას, იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიც მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და მეჩაიეობაა, თითქმის არ არის მექანიზებული. ამხ. აბდულაევი აკრიტიკებს „გლავმაშსბიტის“ რესპუბლიკურ კანტორას იმის გამო, რომ იგი დროულად და კომპლექტურად ვერ ამარაგებს მტს-ებს სათადარიგო ნაწილებით.

ინტერესით მოისმინეს კურგანის ოლქის შადრინსკის საცდელი სადგურის დირექტორის, კოლმეურნეობა „ზავეტი ლენინას“ მემინდვრის ამხ. **მალცევის** სიტყვა.

ამხ. მალცევმა წინადადება შეიტანა შეისწავლონ სხვა კოლმეურნეობებში და მეცნიერთა ფართოდ განსახილველად წარადგინონ შადრინსკის სადგურის მიერ შემუშავებული მეთოდი ნიადაგის 4-6 წელიწადში ერთხელ უფრთო გუთნით ხვნისა 40-60 სანტიმეტრ სიღრმეზე.

ორატორი კრიტიკულ შენიშვნებს აკეთებს იმ მეცნიერთა მისამართით, რომლებიც ჯერ კიდევ შორს დგანან სასოფლო-სამეურნეო წარმოებისაგან.

ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **ლისენკო** ლაპარაკობს, რომ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მუშაკებმა უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირონ თავიანთი მეცნიერული მოღვაწეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, რადგან მიჩქარინული აგრონომიული ბიოლოგიის ძალა და ქმედითობა სწორედ იმით აიხსნება, რომ იგი ვითარდებოდა და ვითარდება პრაქტიკასთან მჭიდრო ერთიანობით. აგრონომიულ ბიოლოგიას ჯერაც ვერ აღმოუჩენია მცენარეთა ნიადაგობრივი კვების ბიოლოგიური კანონზომიერებანი. საკმარისი იყო მეცნიერება მიახლოებოდა მცენარეთა ნიადაგობრივ კვებას როგორც ბიოლოგიურ პროცესს, რომ მაშინვე დაისახა გზები ორგანული და მინერალური სასუქების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი გადიდებისა მათი ერთად შეტანის დროს.

დასასრულ, აკადემიკოსი ლისენკო აცხადებს, რომ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მუშაკები ღირსეულად მოიხდიან თავიანთ ვალს ხალხის წინაშე.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე კარელია-ფინეთის სსრ ოლონეცის მტს-ის დირექტორი ამხ. **ბობკოვი,** კრასნოდარის მხარის პავლოვსკის მტს-ის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ამხ. **ლომეკო,** ოდესის ოლქის შევჩენკოს სახელობის უძველესი მტს-ის დირექტორი ამხ. პანკოვი, ლიტვის სსრ ყიდიკსის მტს-ის დირექტორი ამხ. **რუშასი.** ტაშკენტის ოლქის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **ტურსუნკულოვი** და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. **კუჩუმოვი.** (საკდესი).



ქუთაისი. ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა გასულ წელს საუკეთესოდ იმუშავა, სამშობლოს გეგმის გადამეტებით 97 ათასი წყვილი ფეხსაცმელი მისცა. წელს კომბინატი შეუდგა მამაკაცისა და ბავშვის სანდლების მასობრივად გამოშვებას. **სურათზე:** მთავარი საამქროს კონვეიერზე. წინა პლანზე — საამქროს ოსტატი, კომკავშირელი კ. ეფრემიძე ამოწმებს მამაკაცის სანდლების ხარისხს.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

მეტალურგეები ეხმარებიან კოლმეურნეობას

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის საშეფო კოლმეურნეობას მეცხოველეობის ფერმაში საკვების მიწოდების გასაადვილებად გუთნასანი ორი ურიკა. კოლმეურნეებს გადაეცა ორასი მეტრი რელსი ფერმამდე ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გასაყვანად. პირუტყვის სადგომების გასათბობად კოლმეურნეობამ მიიღო აგრეთვე თუჯის 12 ღუმელი, სათბობი მასალა, 130 მეტრი მაღალი ძაბვის კაბელი, 50-კილოვატიანი ტრანსფორმატორი.

ქარხნის სპეციალისტებმა შეადგინეს ელექტროგადამცემი ხაზის ტრასის გეგმა. შერჩეულია ადგილი ელექტროქვესადგურის მოსაწყობად. მშენებლობას მალე შეუდგებიან. რამდენიმე დღის წინათ მეტალურგთა მხატვრული თვითმოქმედების წრეებმა კოლმეურნეობის კლუბში მოაწყეს საღამო-კონცერტი.

263 კილოგრამი შაქარი ფრიადღლეგზე

ქარელი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში დიდი ხანია დამკვიდრდა შაქრის ჭარხლის კულტურა. კოლმეურნეობათა უმრავლესობამ შარშან დიდი გადაჭარბებით შეასრულა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გეგმები.

სოფელ აბისის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარა 2.380 ცენტნერი ჭარხალი. კოლმეურნეობის № 6 ბრიგადამ, რომელსაც გ. ღვინიაშვილი ხელმძღვანელობს, ყოველ ჰექტარზე 409 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 243 ცენტნერისა. ჭარხლის მოსავლიანობის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე ბ. ირემაძის ბრიგადამ.

სახელმწიფოსათვის ჩაბარებული შაქრის ჭარხლისათვის კოლმეურნეობამ მიიღო 14.700 ცენტნერი შაქარი და 317.000 მანეთი.

კოლმეურნე ბ. ირემაძეს შრომადღეებზე ერგო 263 კილოგრამი შაქარი და 1.628 მანეთი.

კომბინირებული საკვების ქარხანა

სამტრედია. (საკ. კორ.). სამტრედიის დაფნის გადამამუშავებელ კომბინატთან ეწყობა კომბინირებული საკვების ქარხანა. აქ ქერის, ხორბლისა და შვრის ნარჩენების, აგრეთვე ქატოს, კოპტონისა და სხვ. ნარევისაგან დაამზადებენ ძროხის, ღორის, ცხენისა და ფრინველის კომბინირებულ საკვებს.

ამჟამად მიმდინარეობს სპეციალური წისქვილის, სანიავებლების, ელევატორისა და სხვა მოწყობილობის დამონტაჟება. ქარხანა მიმდინარე წელს დამზადებს 50.000 ცენტნერ კომბინირებულ საკვებს და მოამარაგებს დასავლეთ საქართველოს რაიონების მეცხოველეობის ფერმებს.

მოკლედ

◎ **2.000-მდე კვალიფიციური ფეიქარი წარმოებას.** ქუთაისის აბრეშუმკომბინატთან ორსებულმა საფაბრიკო სკოლამ ორი ათეული წლის მანძილზე 2.000-მდე კვალიფიციური ფეიქარი მოუმზადა წარმოებას. სკოლადამთავრებულთა უმრავლესობა ქუთაისის აბრეშუმკომბინატში მუშაობს და ბევრი მათგანი თავდადებული შრომით მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს. (ი. ბუხაიძე).

◎ **კულტურული მომსახურებისათვის.** ამ დღეებში დამთავრდა აბაშის რაიონის კულტურის სახლის რეკონსტრუქცია. დარბაზს გაუკეთდა ახალი ფანჯრები, ლოჟები, იარუსები. ჭერი და კედლები მიმზიდველად არის მოხატული. ამჟამად დარბაზი 500-მდე მაყურებელს იტევს. კულტურის სახლის რეკონსტრუქციაზე 62 ათასი მანეთი დაიხარჯა. (ივ. თოფურია).

◎ **მუსიკალური სკოლების მოსწავლეთა შეხვედრა.** ცხაკაიას მუსიკალურმა სკოლამ მოაწყო შემოქმედებითი შეხვედრა ფოთის მუსიკალური სკოლის მოსწავლეებთან. კონცერტის პირველ განყოფილებაში გამოვიდნენ ცხაკაიას სკოლის მოსწავლეები დ. დადიანი, ს. სესტრენსკაია, ს. ავეტისიანი, ნ. ნაჭყებია და სხვები. ფოთის სკოლიდან გამოვიდნენ მოსწავლეები ნ. მელიქია, კ. შელოვიცკაია, ა. თურქია, ი. ბრონშტეინი და ს. დომბროვსკაია. (ბ. მელიუტინი).

◎ **ახალი სასოფლო ბიბლიოთეკები.** ქედის რაიონის ზვარეს სასოფლო საბჭოს სოფელ ვეაშტის მიქიანის სახელობის კოლმეურნეობაში გაიხსნა ახალი ბიბლიოთეკა, რომელიც მოთავსებულია კოლმეურნეობის კლუბ-კინოთეატრის ერთ-ერთ ვრცელ და ნათელ ოთახში. შეძენილია 1.100 ცალი წიგნი. ბიბლიოთეკა გაიხსნა აგრეთვე სოფელ ვაიოს რვაწლიან სკოლაში. ამ ბიბლიოთეკებისათვის მარტო წიგნების შესაძენად ზვარეს სასოფლო საბჭომ 7.000 მანეთი გაიღო. (საკ. კორ).

პარტიული ცხოვრება

საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია

ეს იყო 1952 წელს. ბაშკირეთის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საჯიშე საბჭოთა მეურნეობამ სამეურნეო წელი ცუდად დაამთავრა, ამ გარემოებამ სერიოზულად ჩაიფიქრა მეურნეობის ადმინისტრაცია და პირველადი პარტიული ორგანიზაცია. საქმეში ჩაერია პარტიის დმანისის რაიკომიც, რომელმაც მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა სპეციალურად განიხილა რაიონული კომიტეტის პლენუმზე. პლენუმმა მდგომარეობის გამოსასწორებლად მიიღო სათანადო დადგენილება. მოწვეულ იქნა საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრება, სადაც კომუნისტებმა კონკრეტული წინადადებანი წამოაყენეს პლენუმის დადგენილების განსახორციელებლად. კრების მონაწილეებმა განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება მუშა-მოსამსახურეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების საკითხებზე. აღინიშნა, რომ აქაური აგიტატორები მხოლოდ ფორმალურად აწყობენ აგიტაციას, თავიანთ საუბრებს არ ამდიდრებენ ცოცხალი, კონკრეტული მაგალითებით, ბრძოლას არ უცხადებენ მეცხოველეობის უქნარა მუშაკებს, სუსტად ეწევიან მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილების პროპაგანდას.

პარტიული კრების შემდეგ კომუნისტები შეუდგნენ მიღებული დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლას. გაძლიერდა მეცხოველეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ამჟამად პირუტყვის მომვლელთა, მწყვლავთა და მწყემსთა შორის 21 აგიტატორი მართავს საუბრებს. მათი უმრავლესობა ცოცხლად, საინტერესოდ ეწევა აგიტაციას, პირადი შრომით მაგალითს აძლევს დანარჩენ მეცხოველეებს. შესამჩნევად გამოცოცხლდა კედლის გაზეთის საქმიანობა.

მეურნეობის მუშაკების დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებამ. ამ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის უსწრაფეს აღმავლობას უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის. ამიტომ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლა პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლას თავიდანვე სერიოზულად მოეკიდა მეურნეობის პირველადი პარტორგანიზაცია. მთავარი ყურადღება მიექცა პირუტყვის კეთილმოწყობილი ბინებით უზრუნველყოფის საქმეს. დამთავრდა და დიდი ხანია საექსპლოატაციოდ გადაეცა საძროხე და სახბორე. ორ საძროხეში უკვე მექანიზებულია საკვების მიზიდვა და ნაკელის გატანა. გარდა ამისა, დადგმულია ავტომატური სარწყულებლები და ელექტროწველის მოწყობილობა.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ ძირითად პირობას მტკიცე საკვები ბაზის შექმნა წარმოადგენს. ამიტომ იყო, რომ პირუტყვისათვის საკვების დაგროვების საქმეს მეურნეობის კომუნისტები თავიდანვე სერიოზულად მოეკიდნენ. უწინარეს ყოვლისა მნიშვნელოვნად გაფართოვდა მრავალწლიანი ბალახების ნათესი ფართობი. აშენებულ იქნა ორი 200 ტონის ტევადობის სილოსის კოშკი, ამას გარდა გაფართოვეს სილოსის არსებული ორმოები. სათიბი ფართობები გაწმინდეს პირუტყვის საკვებად გამოუსადეგარი მცენარეებისაგან. ასეთი წინასწარი მუშაობის გაწევის შედეგად მიღწეულია ის, რომ ამ ზამთარს პირუტყვს უხვად აქვს ნოყიერი საკვები. კერძოდ, დაგროვებულია 2.550 ტონა ძალიანი ხარისხის თივა, ჩადებულია 1.750 ტონა სილოსი, დამზადებულია 380 ტონა ძირნაყოფა. პირუტყვისათვის საკვები დამზადებულია იმ ანგარიშით, რომ თვითეულ ძროხაზე 6,3 ტონა წვნიანი საკვები მოდის. საკვების შეგროვებაში თავი ისახელეს კომუნისტებმა ლ. მომინოშვილმა, დ. ასლამაზიშვილმა, ფაშა ალი ოღლიმ და სხვებმა.

ბაშკირეთელმა მეცხოველეებმა გასულ წელს ცუდად არ იმუშავეს და წარმატებით შეასრულეს როგორც პირუტყვის მოშენების, ისე ხორცისა და რძის ჩაბარების სახელმწიფო გეგმები.

პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით მეურნეობაში მტკიცედ დაინერგა პირუტყვის ბაგური კვების წესი. ბაგური კვებისათვის გამოყენებულია სუდანის ბალახი, საკვები კომბოსტო და სიმინდი. ამ გარემოებამ და ფერმებში მექანიზაციის გამოყენებამ დიდად გაზარდა პირუტყვის პროდუქტიულობა. მაგალითად, თუ 1952 წელს კომუნისტმა მწველავმა ქალმა ნეიფა ალი ყზი პაშაევამ მისთვის მოსავლელად მიჩენილი 12 ძროხიდან თვითეულზე სამუალოდ 2.900 კილოგრამი რძე მიიღო, 1953 წელს წველადობა 3.940 კილოგრამამდე აიყვანა. კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე მეცხოველე კომუნისტებმა მ. მარქარიანმა, მომვლელმა ნ. ოსმანოვმა, უფროსმა ზოოტექნიკოსმა ვ. სამადამვილმა, ფერმის მმართველებმა ი. ორლოვამ და პ. ნასუკოვამ. აღსანიშნავია ვერა და არჩილ ხორბალაძეების კეთილსინდისიერი მუშაობა. ისინი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით უვლიან ბოზარდებს. მათთვის მოსაველელად მიჩენილი მოზარდეული დღეღამეში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 400 გრამისა 600 გრამს იმატებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეურნეობის ვეტერინარები, ზოოტექნიკოსები და მოწინავე მეცხოველეები სერიოზულ სასელექციო მუშაობას ეწევიან. მრავალი წლის სასელექციო მუშაობის შედეგად, რომელსაც მეურნეობის დირექტორი კომუნისტი ლ. ნაროუშვილი ხელმძღვანელობს, ადგილობრივი ჯიშის დაბალპროდუქტიული პირუტყვის შვიცისა და ნაწილობრივ სიმენტალის ჯიშის მწარმოებლებთან შეჯვარების შედეგად მოშენებულია მაღალპროდუქტიული ნახირი, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ადგილობრივი პირუტყვის რძის მაღალი ცხიმიანობა და მთიან პირობებთან შეგუების თვისებები.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სამეურნეო საქმიანობასთან უნარიანად შეხამების საფუძველზე მეურნეობაში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია. პარტიული ორგანიზაციის (მდივანი ო. ტეპკიანი) მუშაობის სერიოზული ნაკლია ის, რომ ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების პროპაგანდა. ნაკლებად ეწყობა ლექციები და მოხსენებები მეურნეობის მუშაკთათვის საინტერესო საკითხებზე, საკმარისად არ ხდება მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილების განზოგადება და გავრცელება. მეურნეობის მუშაკები სუსტად არიან დაკავშირებული რაიონისა და რესპუბლიკის მოწინავე მეცხოველეებთან. სოციალისტური შეჯიბრება ჯერ კიდევ ფორმალურ ხასიათს ატარებს, არ ეწყობა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება. სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს მეცხოველეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, მოუწყობელია მუშათა სასადილო, პურის საცხობი ქარხანა, ფერმებს შორის მისასვლელი გზები.

ყველა ამ ნაკლის გამოსწორებისათვის პარტიულ ორგანიზაციას სერიოზული მუშაობის გაწევა მოუხდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში მეურნეობის კოლექტივი კიდევ უფრო მეტი თავდადებითა და გატაცებით მუშაობს. გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პირუტყვის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის. კომუნისტები ამ შესანიშნავი შეჯიბრების სული და გული არიან.

შ. ზედელაშვილი,

საქართველოს კ. პ. დმანისის რაიკომის მდივანი.

ახლადარჩეული პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი

საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომმა ახლადარჩეული პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის მოაწყო სემინარი, რომელსაც 120-მდე კაცი დაესწრო.

სემინარზე მოსმენილ იქნა მოხსენებანი შემდეგ თემებზე: „რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი“, „როგორ ხორციელდება რაიონში სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები“, „როგორ მოვაწყოთ პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა პირველადს ორგანიზაციებში“, „მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება“.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„როცა ნაკლოვანებებს ურიგდებიან“

ამ სათაურით გასული წლის 24 ნოემბერს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო თბილისის მიქიანის სახელობის ხორცკომბინატდან ხორცისა და ხორცის პროდუქტების გამოტანის დროს შექმნილი დაბრკოლებანი, კომბინატის ხელმძღვანელთა გულგრილი დამოკიდებულება ამ საქმისადმი, დედაქალაქის მცხოვრებლებისათვის ხორცისა და ძეხვეულის მიწოდების გრაფიკის დარღვევის ფაქტები.

როგორც „საქხორცტრესტის“ მმართველი ამხ. ზ. მახარაშვილი გვაცნობებს, წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა, მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად — კომბინატიდან ხორცისა და ძეხვეულის შეუფერხებლად გადმოტანისათვის.

ხორცკომბინატში დაიდგა სპეციალური გამსუფთავებელი მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს სუბპროდუქტების დროულ გადამუშავებას.

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირი

ბერლინი, 26 იანვარი. (საკადესის სპეც. კორ). დღეს სსრ კავშირის, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ მეორე სხდომაზე. თავმჯდომარეობდა ჟ. ბიდო. სიტყვა პირველმა მიიღო ჯ. დალესმა, რომელმაც სიტყვის დასაწყისში გაიხსენა, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ განვლილი ცხრა წლის მანძილზე ბევრი იმედი სასოწარკვეთილებით შეიცვალა, ხოლო მეგობრული ურთიერთობა — გულისტკენით. ხუთი წელია ოთხი მინისტრი ერთად არ შეკრებილა, და ამ ხუთი წლის მანძილზე ატყდა ომი კორეაში, გაჩაღდა ომი ინდოჩინეთში, გაძლიერდა იმის შიში, „ორ ომს შუა ხომ არ ვცხოვრობთო“.

ეს თათბირი, თქვა დალესმა, საშუალებას გვაძლევს თავიდან დავიწყოთ. აქ რომ მოვდიოდით ჩვენ ვიცოდით, რომ ბევრ საკითხში ერთმანეთს არ ვეთანხმებით. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ გამოვნახავთ შეთანხმების სფეროს.

დალესმა განაცხადა, რომ გერმანიისა და ავსტრიის საკითხები პირველი საკითხებია, რომლებზეც შეიძლება მიღწეულ იქნას წარმატება. დალესმა შეაქო ბიდო და იდენი მათი სიტყვებისათვის, რომლებიც დალესის მტკიცებით, კონსტრუქციული იყო და მიზნად ისახავდა თანამშრომლობის დამყარებას. ამავე დროს მან „იმედგაცრუება“ გამოთქვა ვ. მ. მოლოტოვის მიერ გუშინდელ სხდომაზე გაკეთებული განცხადების გ. ო. დალესმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ვ. მ. მოლოტოვმა „იალტის გადაწყვეტილებები გაიხსენა“, მაშინ როცა, როგორც ცნობილია, ამ გადაწყვეტილებათა მიზანი იყო გერმანიის მილიტარიზმისა და ნაციზმის აღმოფხვრა და ამ გადაწყვეტილებებს მხარი დაუჭირეს მთელი მსოფლიოს ხალხებმა. დალესი ცდილობდა ეს გადაწყვეტილებანი, მიუხედავად მათი ნამდვილი შინაარსისა, დაესახა გერმანელი ხალხის მიმართ მკაცრ გადაწყვეტილებებად, რომლებიც თითქოს წარმოშვეს სიძულვილმა და გულისტკენამ. უწოდა რა საბჭოთა პოზიციას „დაბრუნება დრომოჭმული და სიშიში წარსულისადმი“, დალესმა მოიწონა პოზიცია, რომელიც ჩამოაყალიბა ბიდომ და რომლის მიზანიც, როგორც ცნობილია, არის საფრანგეთის ჩაბმა „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში“. ამასთან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა გაიმეორა დიდი ხნის წინათ გაბათილებული არგუმენტები, რომელთა საშუალებითაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეები ცდილობენ „თავდაცვით“ ღონისძიებებად დასახონ დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკები და იმის პროექტი, რომ შეიქმნას აგრესიული „ევროპის არმია“, რომლის ძირითადი დამკვრელი ძალა ჰიტლერული ვერმახტი უნდა იყოს.

შეეხო რა ვ. მ. მოლოტოვის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“ შექმნას შეუძლია გამოიწვიოს ევროპის სხვა სახელმწიფოთა თავდაცვითი კავშირის შექმნა მათი უშიშროების უზრუნველსაყოფად, რაც გამოიწვევდა ევროპის ქვეყნების გათიშვას ერთიმეორის საწინააღმდეგო ორ სამხედრო დაჯგუფებად, დალესმა ყოველგვარი დამამტკიცებელი საბუთის წარმოუდგენლად უწოდა ამას „ისტორიის დამახინჯება“.

დალესმა თქვა, რომ იგი „საგონებელში ჩაადგო“ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადების იმ სიტყვებმა, რომ საჭიროა ჩინეთი ცნობილ იქნას ერთ-ერთ სახელმწიფოდ, იმ ხუთი დიდი სახელმწიფოდან, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვისათვის და ცდილობდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დაესახა „აგრესიულ“ სახელმწიფოდ. დალესმა თქვა, „მე მსურს განვაცხადო ნათლად და არაორაზროვნად“, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ დათანხმდებიან მიიღონ მონაწილეობა ხუთი დიდი სახელმწიფოს კონფერენციაში ჩინეთის მონაწილეობით მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკითხების განსახილველად. დალესმა დასძინა, რომ იგი არ ეთანხმება იდეას, თითქოს „ხუთ დიდ სახელმწიფოს ჰქონდეს უფლება აწარმოოს მთელი მსოფლიოს საქმეები, განაგოს სხვა ერთა სვე-ბედი“, აგრეთვე „ჰქონდეს უფლება უკარნახოს პატარა ქვეყნებს“. ამასთან დალესმა ხუთი სახელმწიფოს როლის ასეთი განმარტება საბჭოთა კავშირს მიაწერა.

დასასრულ დალესმა თქვა: „მიუხედავად იმედგაცრუებისა, რომელიც პირველი გამოხმაურებაა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლაზე, მე მგონია, რომ ჩვენ იმედი არ უნდა დავკარგოთ, არამედ უნდა წავიდეთ წინ და განვაგრძოთ მუშაობა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გვექნება სრული შესაძლებლობა ერთობლივად განვიხილოთ ახალი იდეები, რომლებიც საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა წამოაყენეს თავიანთ განცხადებებში. ამასთან დაკავშირებით ბ-ნმა იდენმა წამოაყენა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი გერმანიის შესახებ, რომლებიც სერიოზული განხილვის ღირსია. ბ-ნმა მოლოტოვმა ისეთი დღის წესრიგი არ წარმოადგინა, როგორსაც ჩვენ წარმოვადგენდით, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ეს დღის წესრიგი, რათა წინ წავიდეთ ჩვენს მუშაობაში“.

ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

ბ-ნ დალესის სიტყვის შემდეგ სიტყვა აიღო ვ. მ. მოლოტოვმა.

— ბ-ნ დალესის სიტყვიდან, — თქვა ვ. მ. მოლოტოვმა, — ჩანს, რომ მან ერთმანეთს დაუპირისპირა საბჭოთა დელეგაციის თვალსაზრისი და საფრანგეთისა და ინგლისის დელეგაციათა თვალსაზრისი. მე მინდა ზოგიერთი შენიშვნა გავაკეთო ამასთან დაკავშირებით.

უწინარეს ყოვლისა საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე იმაზე, რაც ბ-ნმა დალესმა თქვა გერმანიის საკითხის შესახებ. წე მგონია სწორი არ იქნება ვილაპარაკოთ ისე, როგორც ეს-ეს არის ლაპარაკობდნენ — სწორი არ იქნება ერთმანეთს დავუპირისპიროთ საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენელთა თვალსაზრისი და საბჭოთა კავშირის თვალსაზრისი.

არ უნდა ვცდილობდეთ ისე გვეჭიროს თავი, თითქოს ჩვენ შორის სადავო საკითხები არ იყოს, რადგან ყველამ იცის, რომ არის სადავო საკითხები და ყველამ, ვინც ჩვენ გვისმენს, აგრეთვე იცის, რომ ასეთი სადავო საკითხები არსებობს, სწორედ ამიტომ ვართ აქ, საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე, რომ გასწორს ვიპოვნოთ არა მარტო სადავო საკითხები, არამედ ამ სადავო საკითხებში გამოვყოთ ისეთი საკითხები, რომლებზეც უნდა შევთანხმდეთ, რომლებზეც დადებითს შედეგებს უნდა მივაღწიოთ. ამიტომ ჩვენ დაინტერესებული არა ვართ ვილაპარაკოთ ის, რაც არ არის, ან გვერდი ავუაროთ იმ საკითხებს, რომლებიც უნდა განვიხილოთ.

ბ-ნმა ბიდომ აქ თქვა, სწორი არ იქნება ერთისა და იმავე დროს განვიხილოთ ავსტრიის საკითხიც და კორეის საკითხიც, ან მოვითხოვოთ მათი ერთისა და იმავე დროს განხილვაო. ეს საკითხი სწორი აზრია. ამის წინააღმდეგი არავინ არის. ჩვენ მხოლოდ ვფიქრობთ, რომ არ უნდა ავუაროთ გვერდი არც ავსტრიის, არც კორეის საკითხს.

ბ-ნი იდენი ამბობდა, რომ მან ჩამოაყალიბა ინგლისის მთავრობის თვალსაზრისი გერმანიის საკითხზე და გაანაცხადა, ჩვენი თვალსაზრისი ასეთიაო, და, როგორც მე გავიგე, — დასძინა, რომ მის მიერ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისთან დაკავშირებით ინგლისის დელეგაციას რაიმე კომპრომისი საჭიროდ არ მიაჩნია. ამას ბ-ნმა იდენმა აგრეთვე დასძინა, რომ პირობას იძლევა წარმოადგინოს საარჩევნო კანონის ვარიანტი პროექტი და სხვ.

ყოველივე ეს კარგია. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ არც ინგლისის, არც საფრანგეთის, არც ამერიკის, არც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელნი არავითარ კომპრომისზე არ წავიდნენ. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ შევიკრიბეთ არა იმისათვის, რომ გავაკეთოთ კატეგორიული განცხადებანი, არამედ იმისათვის, რომ მოვუსმინოთ ერთმანეთს და გამოვნახოთ იმ საკითხებზე შეთანხმების შესაძლებლობა, რომლებზეც შეიძლება შეთანხმება დღეს, ხოლო იმ საკითხებზე, რომლებზეც არ შეიძლება შეთანხმება დღეს და რომლებიც არასაკმაოდ მომზადებულად უნდა ჩაითვალოს მათი გადაჭრისათვის, საჭიროა, რასაკვირველია, განვაგრძოთ განხილვა ხვალ, ან იმ მომენტში, რომელსაც შესაფერისად მივიჩნევთ.

რასაკვირველია, ჩვენ კიდევ განვიხილავთ, როგორც მე გავიგე ბ-ნ დალესის ნათქვამი, დღის წესრიგის მეორე პუნქტად გერმანიის საკითხს და ევროპის უშიშროების საკითხს. ამიტომ გერმანიის საკითხს ჩვენ მოვანდომებთ საკმაო დროს, რათა კარგად განვიხილოთ ის შეხედულებანი, რომლებიც თვითეულ ჩვენგანს შეუძლია ჩამოაყალიბოს აქ, რათა საკითხის მთელ ჩამოყალიბებაში გამოვნახოთ თუნდაც რაიმე მისაღები, შესაძლო პუნქტები ჩვენი აზრების შესათანხმებლად.

როგორც ბ-ნი ბიდო, ისე ბ-ნი იდენი არ შეხებიან იალტის გადაწყვეტილებათა და პოტსდამის შეთანხმებათა საკითხს. მე, ჩემი მხრივ, საჭიროდ მიმაჩნდა შევხებოდი ამ საკითხს, რადგან ამას დიდი დამოკიდებულება აქვს საკითხთან, რომელსაც ჩვენ გერმანიის პრობლემას ვუწოდებთ. ბ-ნმა დალესმა ამ საფუძვლით გადაწყვიტა ბ-ნ ბიდოსა და ბ-ნ იდენის თვალსაზრისი დაპირისპირებინა მოლოტოვის თვალსაზრისისათვის, რომელიც ამ საკითხს შეეხო. მაგრამ მე მგონია, რომ ამისათვის საფუძველი არ არის. ყოველ შემთხვევაში ამ საკითხზე საჭიროა გავაკეთოთ ზოგიერთი შენიშვნა.

ბ-ნი დალესი ადარებდა პოტსდამსა და ვერსალს. მას მიაჩნდა, რომ ვერსალის ხელშეკრულება ცუდი იყო, და დაახლოებით ასევე ცუდად მიიჩნია პოტსდამის შეთანხმებანი.

უწინარეს ყოვლისა — ვერსალის შესახებ. ვერსალის ხელშეკრულებაზე არის საფრანგეთის ხელმოწერა, ინგლისის ხელმოწერა, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმოწერა. არ არ არის მხოლოდ საბჭოთა კავშირის ხელმოწერა. ჩვენ სრულიადაც არ მიგვაჩნია, რომ ეს ჩვენი ნაკლია. რასაკვირველია, თქვენ უფლება გაქვთ ეს ხელშეკრულება, რომელსაც თქვენ ხელი მოაწერეთ, აძაგოთ, დაგმოთ, ცუდად ჩათვალოთ. მაგრამ ამისათვის ჩვენ როდი ვაგებთ პასუხს. თქვენ იკისრებთ მისთვის პასუხისმგებლობას. ის, რაც მაშინ ცუდად გაკეთდა, ჩვენ არ გვეხება. მაგრამ ჩვენ არა ვართ თანახმა, რომ ვერსალის ხელშეკრულებას დამოკიდებულება აქვს პოტსდამის გადაწყვეტილებებთან.

რაც შეეხება იალტასა და პოტსდამში ხელმოწერილ შეთანხმებებს, აქ სულ სხვა მდგომარეობაა. საქმე ის არის, რომ იალტის შეთანხმებებს ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ ხელი მოაწერა პრეზიდენტმა რუზველტმა, რომელიც, თუ არ ვცდები, ოთხჯერ იყო არჩეული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად. პოტსდამის შეთანხმებებს ხელი მოაწერა პრეზიდენტმა ტრუმენმა, რომელიც ორჯერ იყო არჩეული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად.

მეორე მხრივ, პოტსდამის შეთანხმებათა საერთო სულისკვეთების შესაბამისად დაიდო მთელი რიგი სხვა ხელშეკრულებანი და მათი ძირითადი მიზანია ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფა, იმის უზრუნველყოფა, რომ გერმანია სულ უფრო ვითარდებოდეს მშვიდობისმოყვარული, დემოკრატიული გზით. ამის შესაბამისად ხელმოწერილ იქნა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1944 წლის ხელშეკრულება, 1942 წელს ხელმოწერილ იქნა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, ამის შესაბამისად ხელმოწერილ იქნა საფრანგეთ-ინგლისის 1947 წლის ხელშეკრულება.

როგორ, მთელი ამ წლების მანძილზე ჩვენ არ გვესმოდა, რომ ცუდად ვიქცეოდით, როცა ხელს ვაწერდით ამ ხელშეკრულებებს ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის, ინგლისსა და საფრანგეთს შორის? ეს, რასაკვირველია, ასე არ არის.

მე მგონია, ჩვენ სავსებით გვესმის, რომ როგორც იალტისა და პოტსდამის შეთანხმებებს, ისე ხელშეკრულებებს, რომლებიც აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის დაიდო, მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ, რომ გერმანია იყოს დემოკრატიული, რომ გერმანია იყოს მშვიდობისმოყვარე, რომ გერმანია აღარ იყოს ის ქვეყანა, რომელიც გააჩაღა მეორე მსოფლიო ომი, რომ მან არ დაუშვას ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება. ვფიქრობ, რომ ამით დაინტერესებული არიან თვით გერმანელები, თვით გერმანია, ასე რომ, თუ გერმანია არ წავიდა ამ გზით, არამედ დაადგა მილიტარიზმის გზას, — ჩვენი აზრით, იგი წავა ეროვნული თვითმკვლელობის გზით.

ჩვენ, რასაკვირველია, გვესმის, რომ ბევრმა პუნქტმა, რომელიც ჩაწერილია პოსტდამის შეთანხმებაში, უკვე დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რადგან მათ დროებითი ხასიათი ჰქონდათ. მაგრამ პოსტდამის შეთანხმების ძირითად მიზნებს — ჩვენი სახელმწიფოების მხრივ გერმანიისათვის ხელშეწყობის, გერმანელი ხალხისათვის ხელშეწყობის, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარული გზით მისი განვითარების მიზნებს არათუ არ დაუკარგავთ მნიშვნელობა, მათ არც შეიძლება დაკარგონ მნიშვნელობა, თუ ჩვენ, მართლაც, ვესწრაფვით იმას, რომ გერმანია ვითარდებოდეს კარგი გზით და, ბოლოს, ჩადგეს ევროპის დიდი სახელმწიფოების რიგებში ევროპის სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან ერთად, თუ ჩვენ, მართლაც, გვსურს, რომ უზრუნველყოთ ევროპის უშიშროება, ე. ი. უშიშროება ევროპის როგორც დიდი, ისე პატარა სახელმწიფოებისათვის. ამიტომ, რა თქმა უნდა, ჩვენი ერთობლივი შეთანხმებებისადმი ისეთი ზერელე დამოკიდებულებას, როგორიც ბ-ნმა დალესმა გამოთქვა იალტისა და პოსტდამის შეთანხმებათა გამო, ვფიქრობ, ფრიად კრიტიკულად უნდა მოვეკიდოთ.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვეუბნებიან, თითქოს საბჭოთა კავშირი საფრანგეთსა და გერმანიას აყენებს ურთიერთმტრობის გაძლიერების გზაზე. ასეთ განცხადებას საერთო არა აქვს რა ფაქტებთან და საბჭოთა კავშირის პოლიტიკის ნამდვილ განზრახვებთან. პირიქით, ბ-ნო დალეს, ჩვენ გვსურს და ვეცდებით მივაღწიოთ იმას, რომ იყოს მეგობრობა არა მარტო საფრანგეთსა და გერმანიას შორის, მეგობრობა არა მარტო საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, არამედ რომ იყოს მეგობრობა ევროპის დიდ სახელმწიფოებს — საფრანგეთს, გაერთიანებულ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

რასაკვირველია, ძნელი ამოცანაა იმის მიღწევა, რომ მტკიცე მეგობრობა იყოს ევროპის ძირითად კონტინენტურ სახელმწიფოებს — საფრანგეთს, გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის. მაგრამ ეს კეთილშობილური ამოცანაა. ეს მადლიანი ამოცანაა. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ რაიმე ზომით ამ სამ ქვეყანას შეეძლოს დაუპირისპიროს ან უნდა დაუპირისპიროს თავისი თავი ინგლისს ან ამერიკის შეერთებულ შტატებს. პირიქით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამით დაინტერესებულია აგრეთვე ინგლისი არა ნაკლებ, ვიდრე ჩვენ, ან საფრანგეთი, ან თვით გერმანია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამით დაინტერესებული არიან ამერიკის შეერთებული შტატებიც და რომ ბაზა ჩვენი ერთობლივი მუშაობისათვის მოცემულია იალტისა და პოტსდამის შეთანხმებებით, რომლებსაც ხელი მოაწერა ყველა ჩვენგანმა, მხოლოდ არა გერმანიამ. ჩვენ ვფიქრობთ გამოვიყენოთ ეს ბაზა, რომელიც ჩვენ მივიღეთ და რომელიც წარმოადგენს ბაზას მშვიდობისა და დემოკრატიისათვის გერმანიაში, მივიმხროთ გერმანელი ხალხი, გერმანელთა უმრავლესობა იმ გერმანელების წინააღმდეგ, რომლებსაც მტკიცე მშვიდობა არა სურთ, რომლებსაც რევანშისტული ზრახვები აქვთ. მე ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით მუშაობამ უნდა გაგვაერთიანოს და დაგვეხმაროს ამ ამოცანის გადაჭრაში.

მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ჩინეთის საკითხზე.

განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ჩინეთი დიდი სახელმწიფოა? განა საჭიროა მტკიცება, რომ ხუთასი მილიონი ადამიანი, რომელიც ჩინეთში ცხოვრობს, იმის ღირსია, რომ ჩინეთს ეპყრობოდნენ როგორც დიდ სახელმწიფოს? და განა საჭიროა მტკიცება, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შექმნა დიდი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენაა? შეიძლება არ სცნობდე ფაქტებს, არ სცნობდე ისტორიულ მოვლენებს, მაგრამ თუ ასეთ მდგომარეობაში მოხვდი, ყველასათვის ნათელი იქნება, რომ ეს არც თუ ისე კარგი მდგომარეობაა. იგი უხერხულ მდგომარეობაში აყენებს იმათ, ვინც ასეთ მდგომარეობაში ვარდება. და შესაძლოა ჩვენმა თათბირმა ხელი შეუწყოს იმას, რომ გამოვნახოთ გამოსავალი ასეთი მდგომარეობიდან, თუნდაც რამდენადმე.

მართლაც, აი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა გაერთიანებული ერების წარმომადგენლებმა აირჩიეს ნეიტრალური კომისია კორეის საკითხის შესახებ. კომისიაში მონაწილეობენ კორეა-ჩინეთის მხრივ ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მხრივ — შვეიცია და შვეიცარია. თქვენ შვეიცარია და შვეიცარიაზე უკეთესი ვერავინ იპოვნეთ ამ ნეიტრალურ კომისიის შემადგენლობაში ასარჩევად, მაგრამ ამ ქვეყნებმა, შვეიცარამაც და შვეიცარიამაც, დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ — 1950 წლის დამდეგს. და ეს გასაგებია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა ისეთი დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა, რომ იგი ცნო სახელმწიფოთა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ. განა დრო არ არის მხედველობაში მივიღოთ ეს მდგომარეობა, როგორც მას ისტორია გვიკარნახებს, როგორც მას დიდი ხალხის ცხოვრების მოვლენები გვიკარნახებს და გავითვალისწინოთ ეს ფაქტი და ეს მოვლენები, როგორც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები.

ამბობენ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გამოცხადებულია აგრესორად. ჩვენ, რასაკვირველია, გვახსოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუცია ამის შესახებ. საბჭოთა მთავრობა კვლავ ადგას თავის თვალსაზრისს, რომელიც განაცხადა მისმა დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ეს რეზოლუცია სასახელო როდია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის. პირიქით, ჩვენ გვგონია, რომ ამ არასწორმა რეზოლუციამ დაამცირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტი. ყოველ შემთხვევაში ჩვენ არც ის უნდა დავიიწყოთ, რომ ჩინელი მოხალისეები კორეის ომებში მაშინ ჩაერივნენ, როცა სხვა სახელმწიფოთა ჯარები მიადგნენ ჩინეთის საზღვარს, მდინარე იალუქიანს, როცა საფრთხე შეექმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრებს. ამას ვერ ვიტყვით ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ. ეს საომარი მოქმედება ხდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრებიდან 7-8 ათას კილომეტრზე, მაგრამ სულ რამდენიმე კილომეტრზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრებიდან, და, გასაგებია, რომ მეგობარმა სახელმწიფოებმა — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, იხელმძღვანელეს რა მეგობრობის გრძნობებით და, თავდაცვის გრძნობით, საერთო ენა გამონახეს. ამრიგად, აქ აგრესიის ხსენება განსაკუთრებით უადგილოა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს ფაქტიურადაც სრულიად არ შეესაბამება საქმის ვითარებას.

ვამთავრებ რა ჩინეთის საკითხს, ბოლოს, მსურს მოგაგონოთ, თუ რაში არ შეიძლება ჩვენ გვქონდეს რაიმე უთანხმოება. მოგაგონებთ ერთ ფაქტს, სახელდობრ, რომ ომი კორეაში შეწყდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ინიციატივის მეოხებით. კორეაში ომს ბოლო მოეღო და ამერიკელი და ინგლისელი, ჩინელი და კორეელი ჯარისკაცები მშობლიურ ადგილებს მხოლოდ მას შემდეგ დაუბრუნდნენ, რაც მაისის დამლევს გამოვიდნენ ჩინეთის პრემიერ-მინისტრი ჯოუ ენლაი და კორეის სახალხო-დემოკრატიული მთავრობა ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრ კიმ ირ სენის სახით. მე მგონია, რომ ყოველ შემთხვევაში ეს ფაქტი უნდა გავითვალისწინოთ, როცა ვლაპარაკობთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე და მის როლზე მშვიდობის განმტკიცების საკითხში.

ნება მიბოძეთ შევეხო ხუთთა თათბირის საკითხს.

ბ-ნმა დალესმა აქ თქვა, რომ ხუთთა თათბირი ეჭვს აღუძრავს მას იმ თვალსაზრისით, რომ რომელიმე ხუთ სახელმწიფოს არ შეიძლება მიენიჭოს უფლება იბატონოს სხვა სახელმწიფოებზე, რომ ეს არ შეესაბამება არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, არც ხალხთა უფლებებს, რადგან ყოველ ხალხს აქვს უფლება განაგოს თავისი ბედი. არ შეიძლება ამას არ დავეთანხმოთ. ეს სავსებით სწორია. მაგრამ მე მინდა ამას დავუმატო, რომ ჩვენი თითხთა თათბირი იმიტომ კი არ მოეწყო, რომ ჩვენ გვსურს ვიბატონოთ სხვა სახელმწიფოებზე, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ გვსურს როგორმე შევუწყოთ ხელი იმ საკითხთა გადაწყვეტას, რომლებიც დაეხმარება ჩვენს ხალხებს და სხვა სახელმწიფოთა ხალხებს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობით ხუთი სახელმწიფოს თათბირი იმდენადვე იქნება კანონიერი, რამდენადაც კანონიერია ოთხი სახელმწიფოს თათბირი. უფრო მეტიც, როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად არსებობს უშიშროების საბჭო, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ხუთი სახელმწიფოს, სახელდობრ: ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხმებს. ჩინეთის წარმომადგენელი კი ახლა არავინ არ შეიძლება იყოს, გბრდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა. ამ აზრით ამ ხუთი სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ურთიერთობაში, და ამ თვალსაზრისით, მე მგონია, ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ წინადადებას, რომ რაც შეიძლება მალე შეიკრიბოს ხუთი სახელმწიფოს თათბირი.

სურს რა ხელი შეუწყოს იმას, რომ ჩვენი თათბირი შეუდგეს კონკრეტული საკითხების განხილვას, საბჭოთა დელეგაციას პირველ წვლილად შემდეგი წინადადება შემოაქვს დღის წესრიგის პირველი პუნქტის შესახებ:

საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების ღონისძიებანი და ხუთი სახელმწიფოს მინისტრების თათბირის მოწვევა.

იმის გამო, რომ საჭიროა განმტკიცდეს საყოველთაო მშვიდობა და ხალხთა უშიშროება და თავიდან აცილებულ იქნას ახალი ომის საფრთხე, აგრეთვე საჭიროა შეიქმნას სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის განვითარების უფრო ხელსაყრელი პირობები, როგორც ეს შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანაბრად არსებობს უშიშროების საბჭო, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ხუთი სახელმწიფოს, სახელდობრ: ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების გადაუდებელ ღონისძიებათა განსახილველად.

* * *

ვ. მ. მოლოტოვის სიტყვის შემდეგ დალესმა იკითხა, მიღებულია თუ არა დღის წესრიგი. ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციის მიერ წარდგენილი დღის წესრიგის წინააღმდეგ არაფერი თქმულა.

ბიდომ განაცხადა, რომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ შეტანილი დღის წესრიგის პროექტი მთელ რიგ საწინააღმდეგო მოსაზრებებს იწვევს, რადგან, ბიდოს სიტყვით, ამ პროექტში პირველ ადგილზეა „უაღრესად ზოგადი პრობლემები“. მაგრამ, თქვა ბიდომ, მზადა ვარ ეს დღის წესრიგი მივიღო როგორც იმ საკითხების ნუსხა, რომლებიც ჩვენ უნდა განვიხილოთთო. იდენმა განაცხადა, რომ იგი წარმოადგენდა სხვა დღის წესრიგს, იმისაგან განსხვავებულს, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა, სახელდობრ დაიწყებდა გერმანიისა და ავსტრიის საკითხებით. მაგრამ იდენმა თქვა, რომ მზად არის მიიღოს საბჭოთა წინადადება დღის წესრიგის შესახებ, ისევე როგორც ეს ბიდომ გააკეთა.

მინისტრებმა დათქვეს, რომ შემდეგ სხდომაზე შეუდგებიან მათ მიერ შეთანხმებული იმ დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვას, რომელშიც ნათქვამია:

1. საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების ღონისძიებანი და საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევა.

2. გერმანიის საკითხი და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები.

3. ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულება.

გერმანიის კომპარტიის გამგეობის მიმართვა გერმანელი ხალხისადმი

ბერლინი, 26 იანვარი. (საკადესი). ნეიგორც ადნ-ის საგანგებო იუწყება, გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობამ გამოაქვეყნა მიმართვა გერმანელი ხალხისადმი. მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია: „ყველა პატიოსანი გერმანელი და მათთან ერთად მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი ამ დღეებში ბერლინს შეპყურებს იმ იმედით აღსავსე, რომ მოლაპარაკების გზით აღმოიფხვრება საერთაშორისო დაძაბულობა და კონფლიქტის საფრთხის შემცველი სიტუაცია და საერთოდ გაუმჯობესდება მდგომარეობა. ამასთან გერმანიის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპის უშიშროებისათვის და ამით მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

ჩვენი გერმანელი ხალხი სულით და გულით ესწრაფვის ეროვნულ გაერთიანებას და დემოკრატიული გერმანიის დამოუკიდებლობას. ოთხი სახელმწიფოს თათბირი ამისათვის რეალურ შესაძლებლობას ქმნის, თუ გერმანელი ხალხი მტკიცედ დაიცავს თავის ძირითად მოთხოვნებს: ერთიანობას, მშვიდობასა და დამოუკიდებლობას!

გერმანელ ხალხს უნდა მოესმინოს ოთხი სახელმწიფოს თათბირმა. ამისათვის საჭიროა აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის თავისი წარმომადგენლები ჰყავდეთ თათბირზე. ახლა, როცა დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლები ერთ მაგიდას უსხედან, ერის სირცხვილი იქნება, რომ გერმანელები ვერ შეთანხმდნენ თავიანთ საშინაო საქმეებზე.

ვერავითარმა პარტიულმა დავამ, ვერავითარმა განსხვავებამ მსოფლმხედველობასა თუ რელიგიაში, ვერავითარმა პროპაგანდამ და ვერავითარმა ყალბმა მანიერმა ვერ უნდა შეუშალოს ხელი ახლა ჩვენს ხალხს ერთსულოვნად და დარაზმულად დაიცვას თავისი სასიცოცხლო მოთხოვნები. იმისათვის, რომ გაიხსნას მშვიდობის, ერთიანობისა და თავისუფლების გზა, საჭიროა შეწყდეს რემილიტარიზაციის პოლიტიკა, საჭიროა უარვყოთ ბონისა და პარიზის ხელშეკრულებანი, რადგან ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ შეუძლებელს ხდის ჩვენი სამშობლოს მშვიდობიან გაერთიანებას და სპობს გერმანელი ერის თვითგამორკვევის უფლებას“.

„გერმანელებო! — მოუწოდებს გერმანიის კომპარტიის გამგეობა, — გაერთიანდით! მოითხოვეთ, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლები ჰყავდეთ ოთხი სახელმწიფოს თათბირზე! მოითხოვეთ შეთანხმება გერმანელებს შორის! მოითხოვეთ სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობა, რომელიც მოამზადებს და განახორციელებს ნამდვილად თავისუფალ, ნამდვილად დემოკრატიულ არჩევნებს მთელ გერმანიაში! მოითხოვეთ საზაგო ხელშეკრულება გერმანიასთან და ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანება! მოითხოვეთ ევროპის უშიშროება!“.

##

ქ. თბილისის მოლოტოვის რაიონის საარჩევნო უბნები

(მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებიდან)

ქ. თბილისის მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომმა შექმნა შემდეგი საარჩევნო უბნები, რომლებიც საერთოა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის.

საარჩევნო უბანი ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის შენობაში (კამოს ქ. № 40). საზღვრები: მარჯანიშვილის ქ. № 1-დან № 19-ის ჩათვლით, ლენინგრადის ქუჩა № 2-ა, მეჩნიკოვის ქ. № 13/57, კამოს ქ. №№ 32, 34/36, 38, 40, 42, ელექტრონის ჩიხი № 4.

საარჩევნო უბანი ქალთა 23-ე საშუალო სკოლის შენობაში (კამოს ქ. № 59). საზღვრები: პლეხანოვის პრ. № 63-ბ-დან № 83/23-ის ჩათვლით და № 60-დან № 86/21-ის ჩათვლით, მეჩნიკოვის ქ. № 11-დან № 1-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი საქენერგოს თბილისის ელექტროქსელის შენობაში (კამოს ქ. № 28). საზღვრები: კამოს ქ. № 10-დან № 30-ის ჩათვლით და № 31/4-დან № 55-ის ჩათვლით, მეჩნიკოვის ქ. მარცხენა მხარე № 2-დან კამოს ქუჩის გადაკვეთამდე, პლეხანოვის პრ. № 58-დან № 40/8-ის ჩათვლით, გრინევიჩის ქ. № 6-დან № 4-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ვაჟთა მე-19 საშუალო სკოლის შენობაში (კიევის ქ. № 4). საზღვრები: პლეხანოვის პრ. № 49/2-დან № 63-ა-ს ჩათვლით, კლარა ცეტკინის ქ. № 64-დან № 54-ის ჩათვლით, ლენინაშენის ქუჩის მარცხენა მხარე მთლიანად მერკვილაძის ქუჩის გადაკვეთამდე, მერკვილაძის ქუჩის ლუწი ნომრები პლეხანოვის პროსპექტის გადაკვეთამდე, კიევის ქ. №№ 4, 6, 8 და 3.

საარჩევნო უბანი ვაჟთა 21-ე საშუალო სკოლის შენობაში (პლეხანოვის პრ. № 40). საზღვრები: კამოს ქ. №№ 27, 29, გრინევიჩის ქუჩის კენტი ნომრები, პლეხანოვის პროსპექტი № 38 და № 41/1-დან № 33-ის ჩათვლით, კლარა ცეტკინის ქ. № 40-დან № 50/3-ის ჩათვლით, ლენინაშენის ქუჩის მარჯვენა მხარე მთლიანად, მერკვილაძის ქ. № 15-დან № 1/47-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ვაჟთა მე-20 საშუალო სკოლის შენობაში (კიევის ქ. № 8). საზღვრები: კამოს ქ. № 15-დან № 25-ის ჩათვლით, პლეხანოვის პროსპექტი № 36-დან № 16-ის ჩათვლით და № 31/6-დან № 29/5-ის ჩათვლით, ვარციხის ქ. № 6/31-დან № 20-ის ჩათვლით და № 5/29-დან № 23/38-ის ჩათვლით, კლარა ცეტკინის ქ. №№ 36, 34/24.

საარჩევნო უბანი სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის კლუბის შენობაში (პლეხანოვის პროსპექტი № 5). საზღვრები: ნეკრასოვის ქ. № 2-დან მდინარე მტკვრამდე, პლეხანოვის პროსპექტი № 1-დან № 25-ის ჩათვლით, ტყვიავის ჩიხი № 5-დან № 1-ის ჩათვლით, ტყვიავის ქუჩის გადაკვეთასთან № 7-მდე და № 2-დან № 18/26-ის ჩათვლით, კლარა ცეტკინის ქ. № 26/18-დან № 32-ის ჩათვლით, ჩერნიშევსკის ქ. № 22-დან მდინარე მტკვრამდე და № 1-დან № 19-ის ჩათვლით, ჩერნიშევსკის პირველი და მეორე ჩიხი მთლიანად.

საარჩევნო უბანი № 1 სამკერვალო ფაბრიკის შენობაში (ნინოშვილის ქ. № 8). საზღვრები: კლარა ცეტკინის ქ. № 41-დან № 55-ის ჩათვლით და №№ 66, 68, კალინინის ქ. № 46-დან № 58-ა-ს ჩათვლით და № 43-დან № 51-ის ჩათვლით, რენინგერის ქუჩის მარცხენა მხარე, მერკვილაძის ქ. № 12-დან № 20-ის ჩათვლით, ნინოშვილის ქ. № 4-დან № 8/5-ის ჩათვლით და № 1-დან № 5-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი № 8 ბავშვთა სტომატოლოგიური პოლიკლინიკის შენობაში (საბჭოს ქუჩა № 18). საზღვრები: საბჭოს ქ. № 12/1-დან № 36/37-ის ჩათვლით, მერკვილაძის ქ. № 27/41, კალინინის ქ. № 39-დან № 35-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ქალთა 51-ე საშუალო სკოლის შენობაში (საბჭოს ქ. № 22). საზღვრები: საბჭოს ქ. № 35-დან № 57-ის ჩათვლით, 9 იანვრის ქუჩის მარცხენა მხარე ბოჭორიშვილის ქუჩის გადაკვეთამდე, ბოჭორიშვილის ქ. № 28-დან № 56-ის ჩათვლით, საბჭოს შესახვევი № 4-დან № 12-ის ჩათვლით, გოცირიძის ქ. № 10-დან № 20-მდე და № 19-დან № 39-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი რკინიგზის მე-15 საბავშვო ბაღის შენობაში (9 იანვრის ქ. № 12). საზღვრები: 9 იანვრის შესახვევი №№ 2, 4, ფედოროვის ქ. № 16-დან № 24-მდე, ბოჭორიშვილის ქ. № 19-დან № 51-ის ჩათვლით, ვეძათხვის ქ. № 8-დან № 12-ის ჩათვლით, №№ 5, 7, არაგვისპირელის ქუჩის კენტი ნომრები 13-დან 39-ის ჩათვლით, ლუწი 14-დან 42-ის ჩათვლით ფედოროვის ქუჩის გადაკვეთამდე.

საარჩევნო უბანი მოლოტოვის რაიონის დასუფთავების კანტორის შენობაში (გორკის ქ. № 37). საზღვრები: 9 იანვრის ქ. №№ 15, 17, 9 იანვრის შესახვევი № 1-დან № 13-ის ჩათვლით, ვერხანის ქ. № 3-დან № 27-ის ჩათვლით, ვერხანის ქ. № 2-დან № 24-ის ჩათვლით, ვერხანის შესახვევი №№ 15, 15-ა, 15-ბ, ვერხანის შესახვევი №№ 1, 3, 3-ა, 3-ბ, 5, 4, 6, ბოჭორიშვილის შესახვევი № 10-დან № 26-ის ჩათვლით, ბოჭორიშვილის შესახვევი № 11-დან № 23-ის ჩათვლით, ვეძათხვის ქ. № 14-დან № 20-ის ჩათვლით, არაგვისპირელის ქ. № 1-დან № 11-ის ჩათვლით, № 1-ა-დან № 17-ა-ს ჩათვლით და №№ 6, 8, 10, არაგვისპირელის შესახვევი № 2-დან № 18-ის ჩათვლით და № 3-დან № 19-ის ჩათვლით, წამლის ქ. № 7, № 9, წამლის შესახ. №№ 3-ა, 3-ბ.

საარჩევნო უბანი № 30 საბავშვო ბაღის შენობაში (ტურგენევის ქ. № 11). საზღვრები: საბჭოს ქ. № 17-დან № 35-ის ჩათვლით, აჯამეთის შესახვევი №№ 4, 6, გოცირიძის ქ. № 3-დან № 17/11-ის ჩათვლით, საბჭოს შესახვევი № 13-დან № 17-ის ჩათვლით, ბოჭორიშვილის ქ. № 26-დან № 2-ის ჩათვლით და № 17-დან № 3-ის ჩათვლით, გორკის ქ. № 27-დან № 37/5-ის ჩათვლით და № 40-დან № 55/5-ის ჩათვლით, გოცირიძის ქ. № 2-დან № 12-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ქალთა მე-18 საშუალო სკოლის შენობაში (საბჭოს ქ. № 59). საზღვრები: კლარა ცეტკინის ქ. № 19-დან № 39-ის ჩათვლით, ლენინაშენის ქუჩის მარჯვენა მხარე, კალინინის ქ. № 20-დან № 44-ის ჩათვლით და № 11-დან № 33-ის ჩათვლით, კუკიის შესახვევი მთლიანად.

საარჩევნო უბანი თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების კვების მრეწველობის კომბინატის შენობაში (ტყვიავის ქ. № 2). საზღვრები: ნეკრასოვის ქ. № 1/21-დან 11/14-ის ჩათვლით, კალინინის ქ. № 4-დან № 18-მდე, კალინინის ქ. № 1-დან № 9-მდე, კლარა ცეტკინის ქ. № 17-დან № 9-მდე და № 12-დან № 24-ის ჩათვლით, ნეკრასოვის ქ. № 4-დან № 16-მდე, ტყვიავის ქ. №№ 9, 11.

საარჩევნო უბანი 102-ე დამხმარე სკოლის შენობაში (გორკის ქ. № 40). საზღვრები: გორკის ქ. № 4-დან № 38-ის ჩათვლით, № 11-დან № 25-ის ჩათვლით, საბჭოს ქ. № 1-დან № 15/2-ის ჩათვლით, გერშუნის ქუჩის ორივე მხარე.

საარჩევნო უბანი სახლთმმართველობის კანტორის შენობაში (გორკის ქ. № 2/1). საზღვრები: გორკის შესახვევი № 2-დან № 10-ის ჩათვლით, ვეძათხვის შესახვევი № 1-დან № 15-ის ჩათვლით, რკინიგზის ხაზი, ჩუღურეთის ქ. № 18-დან № 10/2-ის ჩათვლით, თოიძის ქ. № 8-დან № 2-ის ჩათვლით, ჩუღურეთის ქ. № 15-დან № 1/2-ის ჩათვლით გორკის ქუჩის შესახვევამდე, გორკის შესახვევი № 1-დან № 9/8-ის ჩათვლით, ვეძათხვის ქ. № 10-დან № 20-ის ჩათვლით, ჩაისუბნის ქ. № 1-დან №19-ის ჩათვლით და № 2-დან № 20-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ჯგუფკომის შენობაში (კალინინის ქ. № 4). საზღვრები: სვერდლოვის ქ. № 2-დან № 14-ის ჩათვლით, თოიძის ქ. № 10-დან № 16-ის ჩათვლით და № 1/5-დან № 13/6-ის ჩათვლით, გორკის ქ. № 9-დან № 1/2-ის ჩათვლით, კალინინის მოედანი №№ 1, 3, 5, 13, ხეთაგუროვის ქ. № 2 სვერდლოვის ქუჩის გადაკვეთასთან.

საარჩევნო უბანი არტელ „პირველი მაისის“ შენობაში (ტოლსტოის ქ. № 2). საზღვრები: ტოლსტოის ქ. № 1-დან № 21-ის ჩათვლით, კლარა ცეტკინის ქ. № 1-დან № 5-ის ჩათვლით, № 2-დან № 10-ის ჩათვლით, კარლ მარქსის მოედანი მდინარე მტკვრამდე, პლატონის ქ. № 7-დან № 1-ის ჩათვლით, ტოლსტოის ქ. № 1-დან № 19-ის ჩათვლით და № 2-დან № 16-ის ჩათვლით, ხეთაგუროვის ქ. № 1-დან № 11-ის ჩათვლით, დიდხევის დაღმართი № 2.

საარჩევნო უბანი არტელ „შრომის გმირის“ შენობაში (ხეთაგუროვის ქ. № 4). საზღვრები: წყალსაწევის ქ. № 25-დან № 12-ის ჩათვლით, მეორე ჩუღურეთის შესახვევი №№ 3, 5, სვერდლოვის ქ. № 1-დან № 7-ის ჩათვლით, ხეთაგუროვის ქ. № 4-დან № 8-ის ჩათვლით, ზასულიჩის ქ. № 9-დან № 13-ის ჩათვლით, № 18-დან № 26-ის ჩათვლით, თოიძის ქ. № 15-დან № 23-ის ჩათვლით, № 18-დან № 28-ის ჩათვლით, თოიძის შესახვევი № 1-დან № 7-ის ჩათვლით, № 2-დან № 14-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის საბავშვო ბაღის შენობაში (არსენალის ქ. № 9). საზღვრები: ახალი არსენალის ქ. № 17-დან № 29-ის ჩათვლით, ჩუღურეთის ქ. № 47-დან № 17-ის ჩათვლით, ჩუღურეთის პირველი შესახვევი № 4-დან № 30-ის ჩათვლით, ქოთნის შესახვევი № 17-დან № 27/12-ის ჩათვლით, ჩუღურეთის მეორე შესახვევი № 4-დან № 16-ა-ს ჩათვლით, კუმისის ქ. №№ 26, 28, კუმისის შესახვევი № 24-დან № 34-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი „დოსაფის“ კლუბის შენობაში (ხეთაგუროვის ქ. № 13). საზღვრები: ხეთაგუროვის ქ. № 10-დან № 28-ის ჩათვლით, წყალსაწევის ქ. №№ 3, 5/15, 9/25, ზასულიჩის ქ. № 17-დან № 37-ის ჩათვლით, № 28-დან № 38-ის ჩათვლით, თოიძის ქ. № 30-დან № 54/4-ის ჩათვლით, № 27-დან № 35-ის ჩათვლით, ქოთნის შესახვევი № 8-დან № 16-ის ჩათვლით, ახალი არსენალის ქ. № 2/28-დან № 13/8-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი მე-6 მუსიკალური სკოლის შენობაში (ზასულიჩის ქ. № 29). საზღვრები: კიბალჩიჩის ხევი № 2/54-დან № 10-ის ჩათვლით, კუმისის ქ. № 1-დან № 15-ის ჩათვლით, № 2-დან № 24-ის ჩათვლით, მექვთენეთა შესახვევი № 1-დან № 15-ის ჩათვლით, თოიძის ქ. № 39-დან № 51-ის ჩათვლით, № 56-დან № 60-ის ჩათვლით, ახალარსენალის ქ. № 9/39-დან № 5/40-ის ჩათვლით, ზასულიჩის ქ. № 40/5-დან № 52/2-ის ჩათვლით, სანთლის შესახვევი № 1-დან ბოლომდე და № 2-დან ბოლომდე, საპნის შესახვევი № 1-დან ბოლომდე და № 2-დან ბოლომდე, საპნის ქუჩის ყველა კენტი და ლუწი ნომრები, შურდულის ქუჩის ყველა კენტი და ლუწი ნომრები.

საარჩევნო უბანი ტრესტ „საქსოფელექტროს“ თბილისის კანტორის შენობაში (ზასულიჩის ქ. № 38). საზღვრები: ურიცკის ქ. № 22-დან № 64-ის ჩათვლით, კუმისის ქუჩა № 30-დან № 40-ის ჩათვლით, № 17-დან № 31-ის ჩათვლით, კიბალჩიჩის ხევი მთლიანად, ბალმაშევის მოედნის მარცხენა მხარე, კობოზოვის ქ. № 6-დან № 12-ის ჩათვლით ურიცკის ქუჩის გადაკვეთამდე.

საარჩევნო უბანი ყრუმუნჯთა საზოგადოების პრეზიდიუმის შენობაში (ხეთაგუროვის ქ. № 28). საზღვრები: სამოქალაქო ქუჩა № 4-დან № 16-ის ჩათვლით, ურიცკის ქ. № 2-დან № 20-ის ჩათვლით, კობოზოვის ქ. № 7-დან № 3/2-ის ჩათვლით, ბალმაშევის მოედანი № № 1, 3, გრემის ქ. № 2-დან № 14-ის ჩათვლით, ბახვის შესახვევი მთლიანად, კიბალჩიჩის შესახვევი № 4-დან № 18-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ვაჟთა 22-ე საშუალო სკოლის შენობაში (ხეთაგუროვის ქ. № 25). საზღვრები: ხეთაგუროვის ქ. № 30-დან № 48-ის ჩათვლით, № 13-დან № 45-ის ჩათვლით, ურმის ჩიხი № 3-დან № 7-ის ჩათვლით, № 4-დან № 8-ის ჩათვლით, კიბალჩიჩის აღმართი № 2-დან № 10/1-ის ჩათვლით, კიბალჩიჩის ქ. № 3, № 5 და № 4-დან № 8-ის ჩათვლით, კიბალჩიჩის ხევი № 5, ზასულიჩის ქ. № 47/2-დან № 59-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი გლეხთა სახლის შენობაში (პეტრიწის მოედანი № 5). საზღვრები: კიბალჩიჩის აღმართი № 9-დან № 15-ის ჩათვლით, № 12-დან № 18-ის ჩათვლით, შემოსასვლელის შესახვევი № 20-დან № 2-ის ჩათვლით, ხეთაგუროვის ქ. № 67-დან № 71-ის ჩათვლით, პეტრიწის ქ. № 2-დან № 20-ის ჩათვლით და № 1-დან № 23-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი არტელ „ფეიქრის“ შენობაში (ხეთაგუროვის ქ. № 97). საზღვრები: ხეთაგუროვის ქ. № 60-დან № 68-ის ჩათვლით, № 73/2-დან № 83-ის ჩათვლით, პეტრიწის მოედანი № 4-დან № 20-ის ჩათვლით, № 1-დან № 25-ის ჩათვლით, პეტრიწის ქ. № № 22, 24, 30, თულუხჩის ქ. № 4.

საარჩევნო უბანი არტელ „პრომლეგის“ შენობაში (ხეთაგუროვის ქ. № 80). საზღვრები: ხეთაგუროვის ქ. № 70-დან № 80-ის ჩათვლით, № 85-დან № 97-ის ჩათვლით, ბალანჩივაძის ქუჩის მარჯვენა ნაწილი მდინარე მტკვრამდე, პეტრიწის მოედანი № 27-დან № 33-ის ჩათვლით, № 22-დან № 26-ის ჩათვლით, კალიაევის აღმართი №№ 9, 13.

საარჩევნო უბანი ქალაქის სანეპიდსადგურის ლაბორატორიის შენობაში (კლარა ცეტკინის ქ. № 57). საზღვრები: მარჯანიშვილის ქ. № 23/83-დან № 37/78-ის ჩათვლით, კალინინის ქ. № 60-დან № 76-ის ჩათვლით, კლარა ცეტკინის ქ. № 70-დან № 90-ბ-ს და № 57-დან № 67 ბ-ს ჩათვლით, რენინგერის ქ. № № 1, 3.

საარჩევნო უბანი მე-17 პოლიკლინიკის შენობაში (ორჯონიკიძის ქ. № 1). საზღვრები: კალინინის ქ. № 55/6-დან № 63/39-ის ჩათვლით, მარჯანიშვილის ქ. № 39/63-დან № 53-ის ჩათვლით, საბჭოს ქ. № 38-დან № 46-ის ჩათვლით, ორჯონიკიძის ქ. № 4-დან № 16-ის ჩათვლით, რენინგერის ქ. № 9 და № 8-დან № 16-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოების ფაბრიკის შენობაში (9 იანვრის ქ. № 10). საზღვრები: 9 იანვრის ქ. № 2/59-დან № 32-ის ჩათვლით, რკინიგზის ხაზი კოჩეტკოვის ქუჩის გადაკვეთამდე, კოჩეტკოვის ქუჩა № 11-დან № 1/59-ა-ს ჩათვლით, № 4-დან № 26-ის ჩათვლით, საბჭოს ქ. № 59-დან № 59/2-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ქალთა 24-ე საშუალო სკოლის შენობის I კორპუსში (საბჭოს ქ. № 75). საზღვრები: ერისთავის ქ. № 1-დან № 17-ის ჩათვლით, № 4-დან № 14-ის ჩათვლით, რკინიგზის ხაზი, ახალციხის შესახვევი № 1/63-დან № 29-ის ჩათვლით, საბჭოს ქ. № 61/2-დან № 69/1-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ქალთა 24-ე საშუალო სკოლის შენობის II კორპუსში (მსროლელთა ქ. № 4). საზღვრები: საბჭოს ქ. № 71/2-დან № 105-ის ჩათვლით, სუნჟინის ხევის მარცხენა მხარე, სუნჟინის ქ. №№ 4, 2, შირშოვის ქ. №№ 2, 3, 1, რკინიგზის ხაზი, ერისთავის ქუჩის გადაკვეთა, ერისთავის ქ. № 3-დან № 15-ის ჩათვლით, მსროლელთა ქ. № 1-დან ბოლომდე და № 2-დან ბოლომდე.

საარჩევნო უბანი მთავარ ნავთგასაღების საქართველოს კანტორის შენობაში (მაზუთის ქ. № 5). საზღვრები: საბჭოს ჩიხი № 4-დან № 10-ის ჩათვლით, პალიასტომის ქ. № 1-დან № 7-ის ჩათვლით, კიკვიძის ქ. № 2-დან № 12-ის ჩათვლით, № 3-დან № 23-ის ჩათვლით, თემრუკის ქ. № 2-დან № 14-ის ჩათვლით, № 3-დან № 7-ის ჩათვლით, შირშოვის ქ. № 5-დან № 21-ის ჩათვლით, № 6-დან № 24-ის ჩათვლით, 9 ძმის ქ. № 2-დან № 16-ის ჩათვლით, № 3-დან № 21-ის ჩათვლით, სუნჟინის ქ. № 1, 9 ძმის ქუჩის გადაკვეთამდე, 9 ძმის შესახვევი № 1, თემრუკის შესახვევი №№ 4, 6, 1, 3, 5, გროზნის ქ. № 3-დან № 9-ის ჩათვლით, № 2-დან № 12-ის ჩათვლით, გროზნის შესახვევი № 1, № 3, და № 4-დან № 10-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი მთავარი ნავთგასაღების თბილისის განყოფილების შენობაში (საბჭოს მეორე ჩიხი № 10). საზღვრები: 9 ძმის ქ. № 18-დან № 42-ბ-ს ჩათვლით, № 23-ა-დან № 75-ის ჩათვლით, შირშოვის ქ. № 26-დან № 54-ის ჩათვლით, № 29-დან № 39-ის ჩათვლით, თემრუკის ქ. № 16-დან № 46-ის ჩათვლით პიატიგორსკის ქუჩის გადაკვეთამდე, როსტოვის ქ. № 32-დან № 22-ის ჩათვლით, № 1-დან № 47-ის ჩათვლით, ყირიმის ქ. № 3-დან № 17-ის ჩათვლით, № 2-დან № 24-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ბავშვთა საავადმყოფოს შენობაში (ართვინის შესახვევი № 3). საზღვრები: თემრუკის ქ. № 9-დან № 25-ის ჩათვლით, უფლისციხის ქ. № 8-დან № 20-ის ჩათვლით, საქარის ქ. № 2-დან № 10-ის ჩათვლით, ართვინის ქ. № 8-დან № 22-ის ჩათვლით, ანტონოვის ქ. № 28-დან № 34-ის ჩათვლით, რკინიგზის ხაზი, უფლისციხის ქ. № 2, 3.

საარჩევნო უბანი ვაჟთა 41-ე საშუალო სკოლის შენობაში (9 ძმის ქ. № 58). საზღვრები: 9 ძმის ქ. № 77-დან № 157-ის ჩათვლით, ახალციხის ქ. № 2-დან № 12-ის ჩათვლით, ცაიშის ქ. № 2-დან № 24-ის ჩათვლით, ქვალონის ქ. № 2-დან № 20-ის ჩათვლით, № 11-დან № 13-ის ჩათვლით, კუკიის სასაფლაო პიატიგორსკის ქუჩის გადაკვეთამდე, ლაილაშის ქ. № 1-დან № 7-ის ჩათვლით, აბაშის ქუჩა № 1-დან ბოლომდე და № 2-დან ბოლომდე.

საარჩევნო უბანი კრუპსკაიას სახელობის ბიბლიოთეკის შენობაში (ნორიოს აღმართი № 24). საზღვრები: ნორიოს აღმართი № 23-დან ბოლომდე, მახათას გორა, საქარის ქ. № 12-დან № 20-ის ჩათვლით, № 1-დან № 13-ის ჩათვლით ნორიოს ქუჩის გადაკვეთამდე, გოგიეთის ქ. № 1-დან ბოლომდე და № 2-დან ბოლომდე, გოგიეთის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 შესახვევები მთლიანად, ლარეხის ქ. მთლიანად.

საარჩევნო უბანი № 5 სახელოსნო სასწავლებლის შენობაში (ართვინის ქ. № 49). საზღვრები: შრომის ქ. № 30-დან № 90-ის ჩათვლით, მახათას გორა ხრამჰესის ქუჩის გადაკვეთამდე, შრომის ქ. № 30-თან გადაკვეთამდე, მნათობის ქ. № 1-დან ბოლომდე, № 16-დან № 72-ის ჩათვლით და № 16-დან ართვინის ქ. № 24-თან გადაკვეთამდე, შრომის შესახვევი № 1-დან ბოლომდე და № 2-დან ბოლომდე.

საარჩევნო უბანი № 5 სახელოსნო სასწავლებლის შენობაში (ართვინის ქ. № 49). საზღვრები: ართვინის ქ. № 17-დან № 35-ის ჩათვლით და № 37-დან არდონის ქუჩა № 58-ის გადაკვეთამდე, უწერის ქუჩის მარცხენა მხარე შრომის ქუჩის გადაკვეთამდე, შრომის ქ. № 2-დან № 30-ის ჩათვლით, № 11-დან № 19-ის ჩათვლით, რკინიგზის სახლი № № 1, 2, ლამის ქ. № 4-დან № 20-ის ჩათვლით, დიღომბარის შესახვევი მთლიანად, უწერის შესახვევი № 1-დან № 23-ის ჩათვლით, დიღომბარის ქ. № 2-დან № 20-ის ჩათვლით, № 3-დან № 23-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის შენობაში (ხრამჰესის ქ. № 19). საზღვრები: ძეგამის ქუჩის ლუწი და კენტი ნომრები, ასპინძის ქუჩის კენტი და ლუწი ნომრები, მე-2 ასპინძის ქუჩის კენტი და ლუწი ნომრები, ხრამჰესის ქ. № 19-დან (საერთო საცხოვრებელი) ბოლომდე და № 24-დან ბოლომდე, კრამიტის ქ. № 2-დან № 20-ის ჩათვლით და № 1-დან № 5-ის ჩათვლით, პირველი ბოდავის ქუჩის ლუწი და კენტი ნომრები, ახუტის ქუჩის ლუწი და კენტი ნომრები, აზმაგის ქუჩის ლუწი და კენტი ნომრები, პისარევის ქ. № 33-დან ბოლომდე, მე-2 ბოდავის ქუჩის ლუწი და კენტი ნომრები, პისარევის ქ. № 2-დან № 60-ის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობაში (ხრამჰესის ქ. № 1). საზღვრები: პისარევის ქ. № 1-დან № 31-ის ჩათვლით, ლამის ქ. № 7-დან № 47-ის ჩათვლით, ლამის შესახვევი № 4-დან № 10-ის ჩათვლით, ლამის ჩიხი № 4-დან № 10-ის ჩათვლით და № 1-დან № 5-ის ჩათვლით, მე-2 ლამის ქ. № 2-დან № 6-ის ჩათვლით და № 3-დან № 5-ის ჩათვლით, შრომის ქ. № 1-დან № 11-ის ჩათვლით, სიღნაღის ქ. № 1-დან № 23-ის ჩათვლით, ლამის ქ. № 26-დან № 58-ის ჩათვლით, მეორე ახალი არსენალის ქ. № 4-დან № 34-ის ჩათვლით, არსენალის მთა ლუწი და კენტი ნომრები, პირველი ახალი არსენალის ქუჩის ლუწი და კენტი ნომრები, ხრამჰესის ქ. № 2-დან № 22-ის ჩათვლით და № 1-დან № 17-ის ჩათვლით, ასპინძის შესახვევის ლუწი და კენტი ნომრები.

საარჩევნო უბანი რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს შენობაში (პლეხანოვის პროსპექტი № 60).

საარჩევნო უბანი კარდიოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შენობაში (პლეხანოვის პროსპექტი № 60).

საარჩევნო უბანი ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შენობაში (კალინინის ქ. № 51).

მოძმე რესპუბლიკების დრამატურგთა პიესები უცხოეთის თეატრებში

კიევი. (საკუთ. მიმოხილვა). ... ...